




**"სოციალური საწარმოები იძულებით  
გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში"**

**საბაზისო კვლევის ანგარიში**

*მომზადებულია დამოუკიდებელი კონსულტანტის, ნათია მელაძის, მიერ  
ASB საქართველოს და CHCA გუნდის მხარდაჭერით*

*თბილისი, საქართველო  
2014 წლის დეკემბერი*

პროექტის “სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში” სამიზნე ადგილმდებარეობები (შიდა ქართლის რეგიონი) საქართველოს რუკაზე



წყარო: Google Maps, <https://mapsengine.google.com/>

### ინფორმაცია შიდა ქართლის რეგიონზე

<b>Shida Kartli</b> შიდა ქართლი	
Mkhare (region)	
Country	Georgia
Seat	Gori
Subdivisions	1 city, 5 municipalities
Area	
• Total	6,200 km <sup>2</sup> (2,400 sq mi)
Population (2002)	
• Total	314,000
• Density	51/km <sup>2</sup> (130/sq mi)
ISO 3166 code	GE-SK

წყარო: [www.wikipedia.org](http://www.wikipedia.org)

## შინაარსი

მაღლიერების გამოხატვა .....	4
დადასტურება.....	5
გამოყენებული ტერმინოლოგია.....	6
<b>I. რეზიუმე.....</b>	<b>7</b>
<b>II. შესავალი .....</b>	<b>11</b>
<b>III. მეთოდოლოგია .....</b>	<b>12</b>
<b>IV. შეზღუდვები.....</b>	<b>14</b>
<b>V. ინფორმაცია პროექტის შესახებ .....</b>	<b>16</b>
ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ .....	16
პროექტის მიზნები .....	17
პროექტის ბენეფიციარები და სამიზნე ჯგუფები .....	17
პროექტის პარტნიორები და კონსულტანტები .....	18
<b>VI. ძირითადი მიგნებები და დაკვირვებები.....</b>	<b>19</b>
დემოგრაფიული ინფორმაცია.....	19
განათლება .....	20
მოწყვლადობა .....	21
საქმიანობა და შემოსავალი.....	22
საწარმოები სოფლების/ჩასახლებების მიხედვით .....	26
სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა .....	27
სკოლამდელი განათლების (საბავშვო ბაღი) მომსახურების ხარისხი .....	28
ყველაზე მოთხოვნილი სოციალური საწარმოები და სერვისები .....	28
ცოდნის შეფასება.....	37
პროფესიული განათლება .....	39
გენდერული ბალანსი .....	40
ინფორმაციის მიღების უპირატესი წყარო .....	40
სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობა .....	41
ადგილობრივი ხელისუფლების მზაობა თანამშრომლობისთვის.....	43
პროექტის მდგრადობა .....	43
<b>VII. დასკვნები.....</b>	<b>50</b>
<b>VIII. რეკომენდაციები.....</b>	<b>53</b>

## მადლიერების გამოხატვა

ანგარიში მოამზადა დამოუკიდებელმა კონსულტანტმა, ნათია მელაძემ, მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიუროს (BPRM)/აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში“ (2014 წ. 29 სექტემბერი - 2015 წ. 28 სექტემბერი<sup>1</sup>) საბაზისო კვლევის საფუძველზე. ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებები ხელს შეუწყობს პროექტის ეფექტურად დაგეგმვასა და წარმატებით განხორციელებას.

დამოუკიდებელი კონსულტანტი გულწრფელ მადლობას გამოხატავს საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდის (ASB) ხელმძღვანელთა და პროექტის განმახორციელებელი პარტნიორის - საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის „აფხაზეთი“ (CHCA) წარმომადგენლების მიმართ საბაზისო კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებაში გაწეული მხარდაჭერისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ASB პროექტის თანამშრომელთა მოქნილობა და მათ მიერ დათმობილი დრო, რამაც ხელი შეუწყო კვლევის პროცესის ეფექტურობას.

„სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში“ პროექტის საბაზისო კვლევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობის გარეშე. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით გორის, ქარელის, ხაშურისა და კასპის მუნიციპალიტეტების ადგილობრივ ხელმძღვანელებს, რომელთაც გაგვიზიარეს აზრები და შემოთავაზებები პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

საბაზისო კვლევის განხორციელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის გორის, ქარელის, ხაშურის და კასპის მუნიციპალიტეტების 40 სამიზნე სოფლისა და ჩასახლების მოსახლეობას. მონაცემთა შეგროვების პროცესში მათ მიერ გაზიარებულმა ინფორმაციამ შესაძლებელი გახადა პროექტის მიზნებისა და ინდიკატორების საბაზისო სტატუსის განსაზღვრა და ასევე კვლევისთვის მნიშვნელოვანი სხვა ფაქტორების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რაც ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით დაგეგმვასა და განხორციელებას.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიუროს (BPRM) პროექტის „სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერისთვის.

<sup>1</sup> პროექტის I ფაზა



## დადასტურება

ეს დოკუმენტი გახლავთ **ASB** საქართველოს პროექტის „სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში“ საბაზისო კვლევის ანგარიში. დოკუმენტში გამოყენებული მეორადი მონაცემების წყაროების - ავტორებისა და პუბლიკაციების გარდა, კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს **ASB** საქართველოს მიერ გაწეული საქმიანობის შედეგს და ემსახურება პროექტის მდგრად და ეფექტურ განხორციელებას. წინამდებარე საბაზისო კვლევის ანგარიში დაფინანსებულია შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. მასში წარმოდგენილი მიგნებები და დასკვნები ეფუძნება ავტორისეულ მოსაზრებებს კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და არ ასახავს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიციას.

*ნათია მელაძე, დამოუკიდებელი კონსულტანტი  
თბილისი, საქართველო  
2014 წ. დეკემბერი*



## გამოყენებული ტერმინოლოგია

ASB	არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი
BPRM	მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიურო
CHCA	საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთი
CSRDG	საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
FAO	გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FGD	ფოკუს ჯგუფის დისკუსია
GASW	საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
IEC	საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო მასალები
IDMC	შიდა განთავსების მონიტორინგის ცენტრი
MCC	რძის შემგროვებელი ცენტრი
MRA	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
NRC	ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო
PPS	ზომის პროპორციული აღბათობა
SPSS	სოციალურ მეცნიერებათა სტატისტიკური პაკეტი
UNHCR	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
UNDP	გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა
Unicef	გაეროს ბავშვთა ფონდი
USAID	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
YEAG	საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
YLAG	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

## I. რეზიუმე

საბაზისო კვლევის მიზანია, **ASB** საქართველოს მენეჯმენტს ინფორმაცია მიაწოდოს „სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში“ პროექტის მიზნებსა და ინდიკატორებზე არსებული მდგომარეობის შესახებ და განსაზღვროს ორიენტირები პროექტის განხორციელების მონიტორინგისა და მისი საბოლოო შეფასებისთვის. საბაზისო კვლევისას განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვება პროექტის საწყის ეტაპზე სამიზნე სოფლებსა და ჩასახლებებში მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასების მიზნით. აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს ორიენტირებს პროექტის შედეგების შესაფასებლად და პროექტის განხორციელებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად; ასევე, ანგარიშვალდებულების მიზნით თემებისა და დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად.

2013 წელს განხორციელებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საარსებო წყაროების შეფასების მიხედვით, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციაა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის უპროცენტო სესხებისა და გრანტების გაცემა სოციალური საწარმოების ჩამოსაყალიბებლად. დადასტურებულია, რომ საქართველოში სოციალური საწარმოების შექმნა დაუცველი და მარგინალიზებული ჯგუფების დასაქმებისა და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფის ეფექტურ და ნაყოფიერ გზას წარმოადგენს. **ASB**-მ პროექტისთვის „სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში“ კონცეფცია შეიმუშავა, რომელიც მიზნად ისახავდა იძულებით გადაადგილებული პირებისა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის სახელმწიფოზე დამოკიდებულების დაძლევის დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის გზით, და ამავდროულად, საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების დაცვას მათთვის სოციალური მომსახურების გაწევით. შესაბამისად, პროექტის ორი მთავარი სამიზნე არეალია: სასაზღვრო ხაზის მიმდებარე 20 სოფელი, და იძულებით გადაადგილებულ პირთა 20 ჩასახლება შიდა ქართლის რეგიონის ოთხ მუნიციპალიტეტში (გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტები და ქალაქი გორი).

**ASB** საქართველოს პარტნიორები მოცემული პროექტის ფარგლებში არიან: საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ (**CHCA**), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (**CSRDG**), და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (**GASW**). შესაბამისად, საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთი“-ს გარდა, რომელიც პროექტის განმახორციელებელ ადგილობრივ პარტნიორს წარმოადგენს, პროექტს ძირითადი სერვისების ორი მომწოდებელი ჰყავს: **CSRDG**, რომელიც პასუხისმგებელია გაცნობითი სახის სემინარებისა და სოციალური საწარმოების შესახებ ტრენინგის ჩატარებაზე, ასევე ბიზნესზე ორიენტირებული სოციალური საწარმოებისათვის კონსულტაციების გაწევასა და მათ მონიტორინგზე; და **GASW**, რომელიც კონსულტაციასა და მონიტორინგს გაუწევს სოციალური მომსახურების მიწოდებაზე ორიენტირებულ სოციალურ საწარმოებს.

საბაზისო კვლევის ანგარიშში წარმოდგენილი მთავარი მიგნებები და დაკვირვებები ეფუძნება სამიზნე სოფლებისა და ჩასახლებების 380 რესპონდენტის (67.1% მდედრობითი და 32.9% მამრობითი სქესის) რაოდენობრივი კვლევის მონაცემების ანალიზს, აგრეთვე შიდა ქართლის სამიზნე მუნიციპალიტეტებისა (გორი, ქარელი, კასპი, ხაშური) და ქალაქ გორის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების თვისებრივ მონაცემებს. კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 32% (120 ადამიანი) სოციალურად დაუცველია, 23.4% (89 ადამიანი) იძულებით გადაადგილებული პირია, 5.5% (21 ადამიანი) სიღარიბის ზღვარს მიღმაა,

8.7% (33 ადამიანი) მრავალშვილიანი ოჯახის წევრია და 5.3% (20 ადამიანი) სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა. რესპოდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი - 64% თვითდასაქმებულია, 6% - კერძო სექტორშია დასაქმებული, 5% საჯარო სამსახურში მუშაობს, 2% მეწარმე ან კერძო ბიზნესის მესაკუთრეა და 27% უმუშევარია. თვითდასაქმება შემოსავლის მთავარი წყაროა სამიზნე მოსახლეობისთვის; კვლევის შედეგების თანახმად, თვითდასაქმება დომინანტურია, როგორც შემოსავლის ძირითადი, ასევე ალტერნატიული წყარო.

სამიზნე მოსახლეობა განსხვავებულად აღიქვამს მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დინამიკას: რესპოდენტთა ნახევარზე მეტმა (55%/208 ადამიანი) განაცხადა, რომ მათი მატერიალურ-ეკონომიკური პირობები არ შეცვლილა გასული 2 წლის განმავლობაში; 36%/137 ადამიანი მიიჩნევს, რომ მათი მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა მოცემულ პერიოდში, ხოლო 8% (30 ადამიანი) თვლის, რომ ამ მხრივ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა. მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მთავარ მიზეზად ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დასახელდა (65 ადამიანი/47%).

ძირითადი სოციალური სერვისები, როგორცაა ამბულატორია<sup>2</sup> და საბავშვო ბაღი, ხელმისაწვდომია ზოგიერთ სამიზნე სოფელსა და ჩასახლებაში. თუმცა, მოსახლეობის ძირითად ნაწილის ხელი არ მიუწვდება ან სრულად არ აკმაყოფილებს არსებული სერვისების ხარისხი. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რესპოდენტთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ ამბულატორიული სერვისები ნაწილობრივ ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი; გამოკითხული მოსახლეობის დაახლოებით  $\frac{3}{4}$  ნაწილობრივ აკმაყოფილია ან სრულიად უკმაყოფილოა მიღებული სამედიცინო მომსახურებით. იმ რესპოდენტთა ნახევარზე ნაკლები, რომელთა ჩასახლებაში/სოფელში საბავშვო ბაღი არსებობს, დადებითად აფასებს ამ მომსახურებას. საბავშვო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რესპოდენტთა 73% (278 ადამიანი) თვლის, რომ შინმოვლის სერვისი მნიშვნელოვანია, თუმცა ასეთი მომსახურება არ არსებობს არც ერთ სამიზნე სოფელსა და ჩასახლებაში.

რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, სიტუაცია სოციალური სერვისების არსებობის, ხელმისაწვდომობისა და ხარისხის თვალსაზრისით განსხვავდება მუნიციპალიტეტების, ისევე როგორც იმულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლებებისა და სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლების მიხედვით. შესაბამისად, მოთხოვნა სოციალურ საწარმოებზე/სერვისებზე, ისევე როგორც დასაქმებაზე ორიენტირებულ საწარმოებზე, განსხვავდება ჩასახლებებისა და სოფლების მიხედვით. დასაქმებასა და სოფლის მეურნეობაზე ორიენტირებული ყველაზე მოთხოვნადი საწარმოებია: ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი ქარხანა, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები, რძის შემკრები ცენტრი, მარცვლეულის გადამამუშავებელი ქარხანა, ხილის გამოსაშრობი საწარმო და სათბური.

მუნიციპალიტეტისა და თემების ხელმძღვანელებმა ადგილობრივი მოსახლეობის უმთავრეს პრობლემად სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული საჭიროებები დაასახელეს: უმუშევრობა, შიდა გზები, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები და სხვ. მოსახლეობა, ისევე როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, უმეტესწილად აცხადებდა, რომ ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ იქნება წარმატებული, თუ ინფრასტრუქტურული (გზის) და საირიგაციო პრობლემები არ მოგვარდება.

<sup>2</sup> ჯანდაცვა არ შედის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში; ამიტომ, თუ ჯანდაცვის მომსახურებაზე ორიენტირებული საწარმოს შექმნა გადაწყდება, პროექტს შესაბამის სახელმწიფო დონის სააგენტოებთან მოუწევს თანამშრომლობა



პროექტი მიზნად ისახავს როგორც ბენეფიციარი მოსახლეობის, ასევე სამიზნე რეგიონების ხელისუფლების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, რათა მათ იძულებით გადაადგილებული პირებისა და თემში დაბრუნებული მოსახლეობისათვის უკეთესი მომსახურების მიწოდება უზრუნველყონ. საბაზისო კვლევამ შეაფასა სამიზნე მოსახლეობის ცოდნა იმ საკითხებზე, რომლებიც მოცემულია პროექტის ლოგიკურ ჩარჩოსა და საპროექტო განაცხადში. რესპონდენტთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ არ აქვთ ცოდნა მარკეტინგში, ფინანსებსა და ბიზნეს გეგმის შემუშავებაში; მათგან დაახლოებით 1/2-მა მოცემულ სფეროებში ცოდნის გაღრმავების სურვილი გამოხატა; რესპონდენტთა 75% არ დასწრებია პროფესიულ ტრენინგს, რომელთაგან ნახევარმა ცოდნის გაღრმავების სურვილი გამოთქვა ნებისმიერ თემატიკაზე, თუმცა ზოგ შემთხვევაში ვერ შეძლეს თემატიკის დაკონკრეტება. იმ რესპონდენტებმა, რომელთაც მათთვის საინტერესო თემატიკა დააკონკრეტეს, დაასახელეს: სოფლის მეურნეობა, მეფუტკრეობა, ბიზნესის განვითარება/მენეჯმენტი/ფინანსები/მეწარმეობა, სალონის საქმიანობა, ჯანდაცვა/მედიცინა/ფარმაცევტიკა, ინფორმატიკის/კომპიუტერის კლასები, სკოლამდელი განათლება, პედაგოგიკა და სხვ.

საბაზისო კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ მდებდრობითი სქესის მოსახლეობა ტრენინგებზე დასწრებას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეძლებს, თუ ხელს არ შეუშლით დროის ნაკლებობა, რაც რესპონდენტთა მცირე ნაწილმა დაასახელა, როგორც პოტენციური ხელისშემშლელი ფაქტორი. ქალების აქტიური როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილობრივმა ხელმძღვანელობამაც დაადასტურა. როგორც აღინიშნა, მდებდრობითი სქესის მოსახლეობა არ არის შეზღუდული სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით. მეტიც, ქალები უფრო აქტიურები და ჩართულები არიან თემის ცხოვრებაში, ვიდრე კაცები. როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ქალები სათემო შეხვედრებზე დამსწრეთა უმრავლესობას წარმოადგენენ და აქტიურად მონაწილეობენ სათემო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ინფორმაციის მიღების ყველაზე პოპულარული და სასურველი წყარო ტელევიზიაა: რესპონდენტთა 98%-მა ინფორმაციის მიღების სასურველ წყაროდ ტელევიზია დაასახელა. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიღების მეორე ყველაზე პოპულარული წყარო ჟურნალ-გაზეთებია (16%).

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას (78%) არ უთანამშრომლია არანაირი ტიპის ორგანიზაციასთან, ხოლო 22%-ს სხვადასხვა სააგენტოსთან მუშაობის გამოცდილება აქვს.

რესპონდენტთა 12%-ს (47 ადამიანი) უთანამშრომლია ადგილობრივ ხელისუფლებასთან სხვადასხვა სათემო ინიციატივის/პროექტის ფარგლებში, როგორცაა: წყალმომარაგება/საირიგაციო საკითხები, საბავშვო ბაღების მშენებლობა, გზის გაყვანა, არჩევნები, სახურავების შეკეთება და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები თვლიან, რომ თემის წევრები სრულად არიან ჩართული მნიშვნელოვან სათემო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (თემის განვითარების პროგრამების საშუალებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან პირისპირ შეხვედრისას და სხვა ფორმით), კვლევის შედეგების მიხედვით, მხოლოდ რესპონდენტთა 1/3 (36%/136 ადამიანი) თვლის, რომ ჩართულია სათემო პრობლემების გადაწყვეტის პროცესში. იმ რესპონდენტთა 45%-მა (38 ადამიანი), ვისაც რომელიმე სააგენტოსთან უთანამშრომლია, განაცხადა, რომ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან მუშაობის გამოცდილება გააჩნია, როგორცაა: კარიტასი, დანიის ლტოლვილთა საბჭო (DRC), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), წითელი ჯვარი, CHF, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID, NEO/Chemionics), გაეროს ბავშვთა ფონდი (Unicef), World



Vision, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE), Consult Group, Fedx და სხვ.

პროექტი მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს მუნიციპალიტეტებთან სოციალური საწარმოებისთვის იდეების შერჩევის პროცესში. თანამშრომლობის მნიშვნელობა ასევე დაადასტურეს ადგილობრივმა თვითმმართველობის წარმომადგენლებმა (თემის რწმუნებულებმა და მუნიციპალიტეტების გამგებლებმა). ადგილობრივი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელმა ერთხმად გამოხატა პროექტთან თანამშრომლობის მზაობა ისეთი ინიციატივების განსახორციელებლად, რომლებიც წვლილს შეიტანს თემებისა და მთლიანად რეგიონის განვითარებაში. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოხატა მზაობა, არსებული ბიუჯეტის გათვალისწინებით, წვლილი შეიტანოს ადგილობრივი მოსახლეობის საკეთილდღეოდ განხორციელებულ ნებისმიერ პროექტში საჭირო რესურსების გამოყოფით, როგორცაა: ადამიანური რესურსები, ტრანსპორტირების ხელშეწყობა, ფინანსური მხარდაჭერა და სხვ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სურვილი გამოთქვა, სამეწარმეო იდეების შესახებ დისკუსიაში ჩაერთოს ადგილობრივ მოსახლეობასთან, რათა შემდგომი დაფინანსებისთვის მდგრადი და განხორციელებადი ინიციატივების იდენტიფიცირებას შეუწყოს ხელი.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ თემების საჭიროებების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება მათი ფუნქცია და პასუხისმგებლობაა; შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა გამოხატეს მზაობა, მონაწილეობა მიიღონ სამუშაო შეხვედრებში, მრგვალი მაგიდის განხილვებში და სხვა ღონისძიებებში, რომლებიც პროექტის ფარგლებში დაიგეგმება. გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სოციალური საწარმოების შექმნაში მონაწილეობას ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, რადგან სწორედ ისინი არიან ჩართული ბიუჯეტირების პროცესში და კარგად იციან მუნიციპალიტეტის შემდეგი წლის პრიორიტეტები. აქედან გამომდინარე, მათი რეკომენდაცია მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსახლეობამ პროექტის განხორციელებისას პრიორიტეტულად არ ჩათვალოს ის საკითხები, რაც უკვე გათვალისწინებულია მუნიციპალური განვითარების გეგმაში და მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

## II. შესავალი

საბაზისო კვლევის მიზანია, ASB საქართველოს მენეჯმენტს ინფორმაცია მიაწოდოს „სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში“ პროექტის მიზნებსა და ინდიკატორებზე არსებული მდგომარეობის შესახებ და განსაზღვროს ორიენტირები პროექტის განხორციელების მონიტორინგისა და მისი საბოლოო შეფასებისათვის. საბაზისო კვლევისას რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვება განხორციელდა პროექტის საწყის ეტაპზე სამიზნე სოფლებსა და ჩასახლებებში მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასების მიზნით. აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს ორიენტირებს პროექტის შედეგების შესაფასებლად და პროექტის განხორციელებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად; ასევე ანგარიშვალდებულების მიზნით თემებისა და დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად.

საპროექტო განაცხადის შესაბამისად პროექტის ლოგიკურ ჩარჩოში წარმოდგენილი მიზნებისა და ინდიკატორების უმრავლესობა არ შეფასდა საბაზისო კვლევისას; მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები უმეტესწილად ისეთ შედეგებზე ფოკუსირდება, რომლებიც პროექტის განხორციელებისას მიიღწევა და, შესაბამისად, საბოლოო შეფასების დროს გაიზომება პროექტის განხორციელების პროცესში შეგროვებული დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე, მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, პროექტის გუნდის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშესაწყობად, საბაზისო კვლევა დაგეგმილ აქტივობებთან დაკავშირებულ დამატებით კითხვებს მოიცავდა იმ ფაქტორების შესაფასებლად, რომლებიც მათ ეფექტურად განხორციელებას განაპირობებს. ზოგადი კითხვების გარდა, რომლებიც სამიზნე არეალში მოსახლეობის ცხოვრების დონეს აფასებს (მაგ. განათლების დონე, დასაქმება, შემოსავალი, მატერიალურ-ტექნიკური აქტივები, სოციალურ-ეკონომიკური პირობების დინამიკა და სხვ.), როგორც რაოდენობრივი ასევე თვისებრივი კითხვარები (ჩადრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისთვის) დამატებით კითხვებს მოიცავდა ისეთი ფაქტორების შესაფასებლად, რაც პროექტის წარმატებით განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს. მაგ: ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელისუფლების სურვილი, მონაწილეობა მიიღონ და ითანამშრომლონ პროექტის გუნდთან სხვადასხვა ღონისძიების ფარგლებში (ტრენინგები/კონსულტაციები, საინფორმაციო შეხვედრები, სოციალური საწარმოების დაგეგმვა და სხვ); სამიზნე სოფლებსა და ჩასახლებებში არსებული (სოციალური) სერვისების ხარისხი და ხელმისაწვდომობა; სამიზნე სოფლებსა და ჩასახლებებში ყველაზე მოთხოვნადი საწარმოები (როგორც სოციალური, ასევე ბიზნესზე ორიენტირებული) და სხვ.

საბაზისო კვლევის ფარგლებში რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებით მოპოვებული მონაცემების ანალიზზე დაფუძნებული ძირითადი მიგნებები, დასკვნები და რეკომენდაციები ანგარიშის შესაბამის თავებშია შეჯამებული.

### III. მეთოდოლოგია

პროექტის ძირითადი ინდიკატორების შესაფასებლად, საბაზისო კვლევა ეყრდნობოდა შეფასების კომბინირებულ მიდგომაზე<sup>3</sup>, რაც აერთიანებს კვლევის სხვადასხვა დიზაინის ძლიერ მხარეებს. საბაზისო კვლევის ანგარიში ეფუძნება თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს, ისევე როგორც მეორადი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების მიმოხილვასა და ანალიზს.

კვლევის ინსტრუმენტები შემუშავდა რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების მოსაპოვებლად საპროექტო განაცხადში წარმოდგენილი ინდიკატორებისათვის ორიენტირების განსაზღვრის მიზნით. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი მიზნად ისახავდა პროექტის აქტივობების მონიტორინგსა და შეფასებას და სამიზნე თემებზე პროექტის გავლენის გაზომვას. ინფორმაციის პირველად წყაროს წარმოადგენდნენ ადგილობრივი თემის მაცხოვრებლები (როგორც იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლები). მუნიციპალურ და თემის დონეზე არსებული სიტუაციის შესახებ განახლებული და სიღრმისული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ჩადრმავებული ინტერვიუები ჩატარდა ადგილობრივ მუნიციპალურ ხელმძღვანელებთან.

#### i. რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება

##### მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში გამოყენებული რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს სტრუქტურირებული კითხვარი (*გთხოვთ, იხ. დანართი N 1*), რომელიც შეიქმნა პროექტის ლოგიკურ ჩარჩოში განსაზღვრულ ინდიკატორებზე დაყრდნობით. მონაცემები ასევე შეგროვდა პირისპირი ინტერვიუების მეშვეობით.

##### შერჩევა

სამიზნე მოსახლეობა: 31, 423 შინამეურნეობა

შერჩევა: 380; შერჩევა განხორციელდა შერჩევის ყველა ერთეულისათვის. 380 შინამეურნეობა განისაზღვრა, როგორც წარმომადგენლობითი შერჩევა, რომლის განზოგადება შესაძლებელია სამიზნე არეალის მოსახლეობაზე (*გთხოვთ, იხ. თითოეული სოფლის/ჩასახლების შერჩევა დანართ N2-ში*).

შერჩევის დიზაინი: კვლევისას გამოყენებული იქნა ზომის პროპორციული ალბათობა (PPS). შინამეურნეობაში რესპონდენტის შერჩევის შემთხვევითობის უზრუნველსაყოფად კვლევა ეყრდნობოდა „ბოლო დაბადების დღის“ მეთოდს.

<sup>3</sup> „კომბინირებული შეფასება ორ ან მეტ ტექნიკასა და მეთოდს იყენებს იმ მონაცემთა შესაგროვებლად, რომლებმაც პასუხი უნდა გასცენ ერთ ან მეტ შესაფასებელ კითხვას. შეფასების კომბინირებული მეთოდისას გამოყენებული მეთოდები მოიცავს სტრუქტურირებულ დაკვირვებებს, ჩადრმავებულ ინტერვიუებს, ტრენინგის ჩატარებამდე და შემდგომ კვლევებს, სახელმწიფო სტატისტიკის განხილვებს და სხვ. ეს პროცესი შეიძლება მოიცავდეს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მონაცემების შეგროვებასა და გამოყენებას შეფასების საკითხებზე პასუხების გასაცემად კვლევის მიგნებების იდენტიფიცირებისა და ანალიზის შესაბამისი დასკვნების გაკეთების მიზნით.“ *USAID-ის რეკომენდაციების პუბლიკაციები; USAID-ის მენეჯმენტის პოლიტიკის, საბიუჯეტო საკითხებისა და ოპერაციების განყოფილება (MPBP). პუბლიკაციის ავტორია პროფ. პატრიცია ვონდალი, რომელიც წარმოადგენს Management Systems International-ს.*

## ii. თვისებრივი მონაცემების შეგროვება

საბაზისო კვლევა მოიცავდა მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდსა და ინსტრუმენტს. შემდეგი ინსტრუმენტები და ტექნიკები გამოიყენებოდა თვისებრივი მონაცემების შესაგროვებისა და სიღრმისეული ანალიზისათვის:

- ✓ ASB საქართველოს გუნდის მიერ გაზიარებული დოკუმენტაციის მიმოხილვა და ანალიზი (იხ. *საპროექტო განაცხადი - დანართი N 3*);
- ✓ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები მუნიციპალიტეტის გამგებლებთან/გამგებლის მოადგილესთან;
- ✓ ფოკუს ჯგუფების დისკუსიები სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლების რწმუნებულებთან და იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლებების მამასახლისებთან (იხ. *დანართი 4 - ჩაღრმავებული ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის დისკუსიის სახელმძღვანელოები*).

### *მონაცემთა დამუშავება და ანალიზი*

რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა კვლევის ფარგლებში შემუშავებული კითხვარების საშუალებით დამოუკიდებელი კონსულტანტის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ხუთი ინტერვიუერის მიერ. სავსე სამუშაოს დასრულების შემდეგ კონსულტანტმა მონაცემები შეიტანა SPSS პროგრამაში, განახორციელა მონაცემთა წმენდა, დამუშავება, ანალიზი და განსაზღვრა ინდიკატორების საბაზისო მაჩვენებლები.

ინფორმაციის სხვადასხვა წყარომ და მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდმა დამოუკიდებელ კონსულტანტს მონაცემთა გადამოწმებისა და შევსების საშუალება მისცა სამი ძირითადი წყაროს - შინამეურნეობების კვლევის, ფოკუს ჯგუფების დისკუსიისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების - ანალიზის საფუძველზე.<sup>4</sup>

საბაზისო კვლევის ფარგლებში კითხვარების, ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფის დისკუსიების საშუალებით მოძიებული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები, ისევე როგორც SPSS პროგრამის მონაცემთა ბაზის ანალიზი და შესაბამისი ანალიტიკური მიგნებები, ეკუთვნის ASB საქართველოს და მათი გავრცელება იკრძალება ASB საქართველოს ხელმძღვანელობასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

<sup>4</sup> „ძირითადი ინდიკატორების ობიექტური შეფასების მიზნით ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან მონაცემების მოძიებისას, სხვადასხვა მეთოდების ერთობლიობის გამოყენება (როდესაც ეს მაჩვენებლები ერთმანეთის შემავსებელია) შეფასების საკითხთან მიმართებაში დასკვნების ვალიდურობას ზრდის. აღნიშნულ მეთოდს ტრიანგულაცია ეწოდება.“ (იხ. USAID TIPS 5: სწრაფი შეფასება, ასევე, Bamberger, Rugh and Mabry, 2006 შეფასებებში გამოყენებული ტრიანგულაციის სტრატეგიების შემდგომი განმარტებისა და აღწერისათვის)

## IV. შეზღუდვები

- ✓ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან თემების/ჩასახლებების კონკრეტულ საჭიროებებზე საუბრისას (თვისებრივი მონაცემების შეგროვება), რესპონდენტები ძირითადად მასშტაბურ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს აღნიშნავდნენ (როგორცაა უმუშევრობა, გაუმართავი ინფრასტრუქტურა და სხვ), რაც ყველა სამიზნე არეალს აწუხებს. აღნიშნული გარემოება იწვევდა რესპონდენტების ყურადღების გადატანას ინტერვიუს მთავარი საკითხებიდან და იძულებულ ხდიდა კონსულტანტს, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით ჩასძიებოდა რესპონდენტებს საბაზისო კვლევისთვის საინტერესო საკითხებზე.
- ✓ ინტერვიუების დაკვირვებაზე დაყრდნობით, ზოგიერთი რესპონდენტი არასწორ პასუხებს სცემდა რაოდენობრივი ინტერვიუს დროს და აზვიადებდა მოწყვლადობის დონეს, რაც პროექტის მიზნების არასწორად აღქმით იყო განპირობებული: რესპონდენტებს მოლოდინი ჰქონდათ, რომ მოწყვლადობის მაღალი დონე გაზრდიდა პროექტში მათი ჩართულობის შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუს დაწყებამდე ინტერვიუები ძირითადი მესიჯებს გადასცემდნენ პროექტის მიზნების შესახებ.
- ✓ ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობა, ისევე როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ვერ აკონკრეტებდნენ პასუხებს გარკვეულ კითხვებზე:
  - ზოგიერთი რესპონდენტი, რომელიც 'თვითდასაქმებას' ასახელებდა, როგორც შემოსავლის ძირითად წყაროს (კითხვა 4.1), ამავედროულად თავს 'უმუშევრად' თვლიდა (კითხვა 3.5), რაც ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ინტერვიუებს მსგავსი პასუხების გადამოწმება და ინფორმაციის დაზუსტება უწევდათ.
  - ზოგიერთი რესპონდენტი ვერ აკონკრეტებდა საწარმოების ტიპს, რომლის შექმნაც შესაბამისი ჩასახლებისა და სოფლისთვის რეკომენდებული ან არარეკომენდებულია (კითხვები 22 და 23).
  - პროფესიულ ტრენინგებში მონაწილეობის სურვილის გამოხატვის მიუხედავად (28-ე შეკითხვა), ზოგიერთი რესპონდენტი ვერ აკონკრეტებდა სასურველ თემატიკას.
  - შესაბამის კითხვაზე დადებითი პასუხების გაცემის მიუხედავად (კითხვა 33 სხვადასხვა სააგენტოებთან თანამშრომლობის შესახებ), ზოგიერთი რესპონდენტი ვერ აკონკრეტებდა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას, სახელმწიფო უწყებებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებთანაც უთანამშრომლიათ.
- ✓ ზოგიერთ სამიზნე ჩასახლებაში/სოფელში რესპონდენტების პასუხები გარკვეულ კითხვებზე განსხვავდებოდა (მაგ. კითხვა 15 სოციალური საწარმოების არსებობის შესახებ; კითხვა 19 შინმშობლის სერვისის შესახებ). მონაცემთა ანალიზის დროს მოპოვებული ინფორმაციისა და თემის მიხედვით შედეგების დასაზუსტებლად, კონსულტანტი ეყრდნობოდა მოსახლეობის უმრავლესობის მიერ გაცემულ პასუხებს.
- ✓ რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების პროცესზე უარყოფითად მოქმედებდა სასაზღვრო ხაზის მიმდებარე შორეულ სოფლებამდე მიმავალი დაზიანებული გზები, ისევე როგორც გაუმართავი შიდა გზები იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლებებში (რომლებიც, სავარაუდოდ, საბაზისო კვლევამდე განხორციელებული

გაზიფიკაციის პროცესის დროს დაზიანდა). აღნიშნული გარემოების გამო, მონაცემთა შეგროვების პროცესმა წინასწარ გათვლილზე მეტი დროის დახარჯვა მოითხოვა.

- ✓ საბაზისო კვლევის დროს თვისებრივი მონაცემების შეგროვება დაბრკოლდა 2 სამიზნე მუნიციპალიტეტში (ხაშური, კასპი), რადგან შესაბამის მუნიციპალიტეტებში კვლევის მიმდინარეობისას პროექტის განხორციელება აქტიურ ფაზაში არ იყო. აღნიშნული მიზეზის გამო, პროექტმა ვერ უზრუნველყო შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზება, რამაც თვისებრივი ინფორმაციის მოპოვება შეზღუდა; რაც შეეხება დანარჩენ ორ მუნიციპალიტეტს (გორი, ქარელი), შეხვედრები კარგად იყო სტრუქტურირებული და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვება მოხერხდა ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ჩართულობით.

## V. ინფორმაცია პროექტის შესახებ

### ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ინფორმაციით, დაახლოებით 250, 000 იძულებით გადაადგილებული პირია საქართველოში ადრეული 1990-იანებში აფხაზეთისა და და 2008 წლის სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების შემდეგ. გასული ხუთი წლის მანძილზე, საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მთავარ დახმარებას წარმოადგენდა მათი ბინებითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის მცირემასშტაბიანი პროგრამები. იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა კვლავაც დამოკიდებულია სახელმწიფო დახმარებაზე, რაც მათთვის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს (შიდა განთავსების მონიტორინგის ცენტრი - IDMC)<sup>5</sup>.

საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა და თემებში დაბრუნებული მოსახლეობის შესახებ კვლევებისა და შეფასებების უმრავლესობა ხაზს უსვამს მათ ეკონომიკურ და სოციალურ მოწყვლადობას. გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) ახლანდელმა კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში მოსახლეობის ამ სეგმენტის მოწყვლადობა განპირობებულია სოციალური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მიუწვდომლობით. კვლევამ აჩვენა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს გაცილებით ნაკლებად მიუწვდებოდათ ხელი ფიზიკურ რესურსებზე. გარდა იმისა, რომ აშკარად საჭიროა მათთვის დასაქმების მეტი შესაძლებლობების მიცემა, არსებული შეფასებები შიდა ქართლის რეგიონში მიუთითებს სხვა მნიშვნელოვან საჭიროებებსა და მოწყვლადობაზეც, როგორცაა, მაგალითად, სოციალური სერვისების (განსაკუთრებით ჯანდაცვის მომსახურება და საბავშვო ბაღები) ნაკლებობა.

2013 წელს განხორციელებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საარსებო წყაროების შეფასების მიხედვით, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციას იძულებით გადაადგილებულ პირთათვის უპროცენტო სესხებისა და გრანტების გაცემა სოციალური საწარმოების ჩამოსაყალიბებლად. დადასტურებულია, რომ საქართველოში სოციალური საწარმოების შექმნა დაუცველი და მარგინალიზებული ჯგუფების დასაქმებისა და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფის ეფექტურ და ნაყოფიერ გზას წარმოადგენს. სოციალური საწარმოები ასევე კარგი საშუალებაა იძულებით გადაადგილებულ პირთა და თემებში დაბრუნებული მოსახლეობის სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულების შესამცირებლად. ხშირად იძულებით გადაადგილებულ პირებს ხელი არ მიუწვდებოდათ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, რომელიც ზოგადად სოფლის მოსახლეობისთვის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. შესამისად, სოფლის მეურნეობა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შემოსავლის წყარო არ არის. 2014 წელს ASB და საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ ევროკომისიამ მიიწვია სოციალური საწარმოს კონცეფციის შესამუშავებლად, რომელიც მორგებული იქნებოდა საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირებზე, და ასევე მათი საარსებო წყაროების გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის ადვოკატირების მიზნით. ამ კონცეფციის მიხედვით, ASB ფოკუსირებულია სოციალური საწარმოს ჩამოყალიბებაზე, რომელიც ერთი მხრივ, სამიზნე მოსახლეობას საჭირო სოციალური სერვისებით უზრუნველყოფს და, მეორეს მხრივ, დასაქმების შესაძლებლობებს შექმნის. შესაბამისად, პროექტის მთავარი მიზანია გადალახოს იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სახელმწიფოზე დამოკიდებულება დასაქმების შესაძლებლობების გაზრდით, და ამავედროულად დახმარება გაუწიოს საზოგადოების

<sup>5</sup> მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიუროსათვის (PRM) დასაფინანსებლად წარდგენილი საპროექტო განაცხადი – მრავალწლიანი პროექტებისთვის, გვ. 3





ყველაზე უფრო დაუცველ ფენებს, განსაკუთრებით სოფლებში დაბრუნებულ მოსახლეობას, სოციალური სერვისების მიწოდებით.

**პროექტის მიზნები**

საქართველოში საქმიანობის დაწყებისთანავე, ASB-მ მხარი დაუჭირა იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ჩართვას ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პროგრამებში. ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების (მაგ. საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ (CHCA), CARE) საქმიანობასთან შედარებით, ASB-ს საქმიანობა თვისებრივად განსხვავებულ მიზნებს ისახავს, და შესაბამისად, განსხვავებულ საჭიროებებს ემსახურება: სოციალური სერვისების მიწოდებელი სოციალური საწარმოების ჩამოყალიბებით, ASB ერთის მხრივ უზრუნველყოფს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ დაცვას ჯანდაცვისა და საბავშვო ბაღის მომსახურების გაწევით, და მეორეს მხრივ, ქმნის დასაქმების შესაძლებლობებს, რაც მოწყვლადობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია რეგიონში.

პროექტი ორი ძირითად ფაზისგან (ორი წელი) შედგება. პირველი წელი მოიცავს სოციალური საწარმოს შესახებ არა მხოლოდ პოტენციური მეწარმეების, არამედ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებას. მომზადების ეტაპი გულისხმობს არა მხოლოდ ტექნიკური უნარებისა და ცოდნის გადაცემას, არამედ მოსახლეობის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას საპროექტო ინიციატივაში მონაწილეობის მისაღებად წახალისების მიზნით. პროექტის პირველი წლის ბოლოს სოციალური საწარმოები ჩამოყალიბდება, ხოლო მეორე წლის განმავლობაში ყურადღება დაეთმობა ახლად შექმნილი საწარმოების ფუნქციონირების ხელშეწყობას და ადგილობრივი მთავრობის მობილიზებას თანამშრომლობისთვის.

**პროექტის ბენეფიციარები და სამიზნე ჯგუფები**

პროექტს ორი მთავარი სამიზნე არეალი გააჩნია. პირველი მოიცავს სასაზღვრო ხაზთან მიმდებარე სოფლებს შიდა ქართლის რეგიონის ოთხ მუნიციპალიტეტში (გორი, კასპი, ქარელი, ხაშური). სულ 55 სოფელია UNHCR-ის 2014 წლის შეფასებით, რომელთა მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მათი დემოგრაფიული შემადგელობაა. მოსახლეობის უმრავლესობა, ვინც ეს სოფლები 2008 წლის კონფლიქტის დროს დატოვა, ახალგაზრდა ან საშუალო ასაკს მიეკუთვნება და მათი დაბრუნების მაჩვენებელი მოსახლეობის უფრო ხანდაზმულ სეგმენტთან შედარებით დაბალია. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის 40%-ს 60 წელს გადაცილებული ადამიანები წარმოადგენენ. საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრ „აფხაზეთი“-ს მიხედვით, მათი 1/4 მარტოხელა მოხუცია. კომიტეტმა, რომელიც ASB-ს, საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრის „აფხაზეთი“ (CHCA), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა (UNHCR) და სოციალური მომსახურების სააგენტოსგან (SSA) შედგება, პროექტის განსახორციელებლად 55-დან 20 სოფელი შეარჩია ზომისა და ადგილობრივ მცხოვრებთა სოციალური დაცვის საჭიროების მიხედვით.

რაც შეეხება მეორე სამიზნე ჯგუფს, ის მოიცავს შიდა ქართლის რეგიონში წარმოდგენილ იძულებით გადაადგილებული პირებს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (MRA) მონაცემების მიხედვით, რეგიონში სულ 16,292 იძულებით გადაადგილებული პირია; მათი უმრავლესობა კოლექტიურ კოტეჯის ტიპის დასახლებებში ცხოვრობს, რომლებიც მთავრობამ 2008 წლის ომის შემდეგ ააშენა. შიდა ქართლში სულ 20 ასეთი ჩასახლებაა, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 6,626-ს შეადგენს. საწყის ეტაპზე პროექტი 20-ვე ჩასახლებაში დაიწყებს მუშაობას, შემდეგ კი იმ არეალში განაგრძობს მუშაობას,



სადაც ადგილობრივ მაცხოვრებლებს სოციალური საწარმოების ჩამოყალიბების<sup>6</sup> საუკეთესო საპროექტო განაცხადები ექნებათ.

**პროექტის პარტნიორები და კონსულტანტები**

პროექტის განხორციელების ფარგლებში ASB საქართველოს პარტნიორები არიან: საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ (CHCA), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW).

პროექტის განსახორციელებლად გათვალისწინებული მართვის სტრუქტურა მორგებულია იმაზე, რომ პროექტის ციკლის სათანადო კონტროლი უზრუნველყოს - მისი იდენტიფიკაციიდან დაწყებული, მომზადებისა და განხორციელების, ზედამხედველობისა და მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების ჩათვლით. პროექტის გუნდს უხელმძღვანელებს ASB საქართველოს დირექტორი, რომელიც საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთის“ აღმასრულებელ დირექტორთან ერთად სამთავრობო პარტნიორებთან ყველა შეხვედრისა და ღონისძიების მაღალ დონეს უზრუნველყოფს. ASB საქართველოს დირექტორს დაეხმარებიან იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეებისა და სოციალური სერვისების პროგრამის კოორდინატორები, რომლებიც რეგულარულად აწარმოებენ კოორდინაციას საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრის „აფხაზეთი“ (CHCA) პროექტის კოორდინატორთან. ეს უკანასკნელი პასუხისმგებელი იქნება საველე საქმიანობის დაგეგმვასა და ორგანიზებაზე.

საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრის „აფხაზეთი“ გარდა, პროექტს ძირითადი სერვისების ორი მომწოდებელი ჰყავს: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), რომელიც პასუხისმგებელია გაცნობითი სახის სემინარებსა და სოციალური საწარმოების შესახებ ტრენინგის ჩატარებაზე, ასევე ბიზნესზე ორიენტირებული სოციალური საწარმოებისათვის კონსულტაციის გაწევასა და მათი მუშაობის მონიტორინგზე, და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია (GASW), რომელიც კონსულტაციასა და მონიტორინგს გაუწევს სოციალური მომსახურების მიწოდებაზე ორიენტირებულ სოციალურ საწარმოებს.

<sup>6</sup> მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიუროსათვის (PRM) დასაფინანსებლად წარდგენილი საპროექტო განაცხადი – მრავალწლიანი პროექტებისთვის, გვ. 7

## VI. ძირითადი მიგნებები და დაკვირვებები

ამ თავში წარმოდგენილი ძირითადი მიგნებები და დაკვირვებები ეფუძნება პროექტის „სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში“ 20 სოფლიდან და 20 ჩასახლებიდან 380 რესპონდენტის გამოკითხვის შედეგად მოპოვებული რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს. რაოდენობრივი მონაცემები შევსებულია ოთხი სამიზნე მუნიციპალიტეტისა (ქარელი, კასპი, ხაშური, გორი) და ქალაქ გორის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების (ჩადრმავებული ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფის დისკუსიები) შედეგად მოპოვებული თვისებრივი მიგნებებით.

თითოეულ მუნიციპალიტეტში გამოკითხული მოსახლეობის გენდერული თანაფარდობა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში N1:

**ცხრილი N1 – რესპონდენტთა გენდერული თანაფარდობა სამიზნე მუნიციპალიტეტებში**

მუნიციპალიტეტი	მდედრ.		მამრ.		სულ	
	N	%	N	%	N	%
ქარელი	66	57	49	43	115	100
გორი	168	72	66	28	234	100
კასპი	10	83	2	17	12	100
ხაშური	11	58	8	42	19	100
<b>სულ</b>	<b>255</b>		<b>125</b>		<b>380</b>	

საბაზისო კვლევის ანგარიშში მიგნებები შემდეგი ძირითადი სფეროების მიხედვით არის სტრუქტურირებული:


- ✓ ზოგადი ინფორმაცია (დემოგრაფია, განათლება, მოწყვლადობა, საქმიანობა და შემოსავალი, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი/მდგომარეობა, ძირითად სოციალურ სერვისებისა და საწარმოებზე ხელმისაწვდომობა და მომსახურების ხარისხი, ყველაზე მოთხოვნადი საწარმოები (სოციალური და დასაქმებაზე ორიენტირებული);
- ✓ ცოდნის შეფასება და სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობის მიღების სურვილი (ბიზნესი, მარკეტინგი, ფინანსები, პროფესიული განათლება);
- ✓ სოციალური საწარმოების დაარსებაში მონაწილეობის მიღების სურვილი;
- ✓ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა ადგილობრივ/საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

გარდა ამისა, დასკვნები გაანალიზებულია პროექტის ლოგიკური ჩარჩოს მიხედვით და განსაზღვრავს იმ მიზნებისა და ინდიკატორების სტატუსს, რომელთა შეფასებაც შესაძლებელი იყო საბაზისო კვლევის ფარგლებში.

### დემოგრაფიული ინფორმაცია

საბაზისო კვლევის ფარგლებში სულ 255 (67.1%) მდედრობითი სქესისა და 125 (32.9%) მამრობითი სქესის რესპონდენტი გამოკითხა. მდედრობითი სქესის რესპონდენტების უმრავლესობა (26%) მიეკუთვნება 36-45, ხოლო მამრობითი სქესის რესპონდენტები - 46-55 ასაკობრივ კატეგორიას. ქვემოთ მოცემული დიაგრამა N1 წარმოგვიდგენს მამრობითი და მდედრობითი სქესის რესპონდენტების გადანაწილებას ასაკობრივ კატეგორიებში:

დიაგრამა N1 - მამრობითი და მდედრობითი სქესის რესპონდენტები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით




გამოკითხული მოსახლეობის 22.4%-ს (85 პირს) ჰყავს 5 ოჯახის წევრი, 22.1%-ს (84 პირს) - 6 ან მეტი ოჯახის წევრი, 21.8%-ს (83 პირს) - 4 ოჯახის წევრი, და დარჩენილი 33.7%-ის (128 ადამიანის) ოჯახის წევრთა რაოდენობა 1-დან 3-მდეა.

**განათლება**


რესპონდენტთა დიდ უმრავლესობას - 52%-ს (125 მამრ. და 72 მდედრ.) გააჩნია საშუალო განათლება; 22%-მა (25 მამრ. და 60 მდედრ.) აღნიშნა, რომ მიღებული აქვთ სრული პროფესიული განათლება; 19%-ს (54 მდედრ. და 16 მამრ.) გააჩნია უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი; 3.2%-ს (7 მდედრ. და 5 მამრ.) მიღებული აქვს არასრული უმაღლესი განათლება, ხოლო დანარჩენ 4.2%-ს (9 მდედრ. და 7 მამრ.) არასრული საშუალო განათლება აქვს.

დიაგრამა N2 - რესპონდენტთა განათლება



დიაგრამა N3-ში ასახულია მამრობითი და მდედრობითი სქესის მოსახლეობის გადანაწილება განათლების ფორმებისა და დონეების მიხედვით

დიაგრამა N3 – განათლების დონე გენდერულ ჯგუფში




**მოწყვლადობა**

სამიზნე მოსახლეობის მოწყვლადობის სტატუსის შესაფასებლად რესპონდენტებს დაუსვეს კითხვა, მიეკუთვნებოდნენ თუ არა მოწყვლადობის წინასწარ განსაზღვრული რვა კრიტერიუმიდან რომელიმეს. კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 32% (120 ადამიანი) სოციალურად დაუცველია, 23.4% (89 ადამიანი) იძულებით გადაადგილებული პირია, 8.7% (33 ადამიანი) წარმოადგენს მრავალშვილიან ოჯახს, 5.5% (21 ადამიანი) სიღარიბის ზღვარს მიღმაა, 5.3%-ს (20 ადამიანი) გააჩნია სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობა, 3.2% (12 ადამიანი) მარტოხელა დედაა, 0.8% (3 ადამიანი) წარმოადგენს ეთნიკურ, ხოლო 0.3% (1 ადამიანი) - რელიგიურ უმცირესობას.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა N4 ასახავს რესპონდენტთა განაწილებას მოწყვლადობის წინასწარ განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით.

დიაგრამა N4 – მოსახლეობა მოწყვლადობის სტატუსის მიხედვით



აღსანიშნავია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა 30% (27 ადამიანი) ასევე სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიეკუთვნება ან სიღარიბის ზღვარს მიღმაა, 2% (2 ადამიანი) მარტოხელა დედაა, 9% (8 ადამიანი) კი მრავალშვილიანი ოჯახის წევრია.

### საქმიანობა და შემოსავალი


სამიზნე სოფლებისა და ჩასახლებების მაცხოვრებლების უმრავლესობა თვითდასაქმებულია. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის უმრავლესობა არ აღიქვამს თვითდასაქმებას დასაქმების ფორმად და ამჟამინდელ საქმიანობად უმუშევრობას ასახელებს. თუმცა, ინფორმაციის დადასტურების მიზნით, რესპონდენტთა პასუხი ამჟამინდელი საქმიანობის შესაბამის კითხვაზე გადამოწმდა დამატებითი კითხვით შემოსავლის მთავარი წყაროს შესახებ.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი - **64%** (149 მდედრ. სქესის და 96 მამრ. სქესის წარმომადგენელი) **თვითდასაქმებულია**; **6%** (16 მდედრ. და 7 მამრ.) **დასაქმებულია კერძო სექტორში**, **5%** (17 მდედრ. და 3 მამრ.) **მუშაობს საჯარო სააგენტოებში**, **2%** (5 მდედრ. და 2 მამრ.) **მეწარმეა ან კერძო ბიზნესს ფლობს** და **27%** (80 მდედრ. და 21 მამრ.) **აცხადებს, რომ უმუშევარია**.

უნდა აღინიშნოს, რომ 5 რესპონდენტი (ყველა მდედრ. სქესის) მათგან, ვინც განაცხადა რომ თვითდასაქმებულია, ასევე მუშაობს საჯარო სამსახურში (3 ადამიანი), არის მეწარმე (1 ადამიანი), და დაქირავებული მუშაკი (1 ადამიანი).


ქვემოთ მოცემული დიაგრამა N5 წარმოგვიდგენს რესპონდენტთა გადანაწილებას საქმიანობის მიხედვით გენდერულ ჭრილში.

**დიაგრამა# 5 – დასაქმების სტატუსი გენდერულ ჭრილში**



რესპონდენტთა **59%**-ის თვიური შემოსავალი 300 ლარს ქვემოთაა, 24% ყოველთვიურად 300-500 ლარს იღებს, 9%-ის თვიური ხელფასი 500 ლარს აღემატება, ხოლო დანარჩენი 8% უარს აცხადებს პასუხის გაცემაზე (1%), ან ვერ აკონკრეტებს ყოველთვიურ შემოსავალს (7%).

**დიაგრამა N6 – ყოველთვიური შემოსავალი**



მიმდინარე საქმიანობის მსგავსად, თვითდასაქმება შემოსავლის მთავარი წყაროა სამიზნე მოსახლეობისთვის: კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა უმრავლესობისთვის თვითდასაქმება შემოსავლის როგორც ერთადერთი ძირითადი, ასევე ალტერნატიული წყაროა.

- ✓ რესპონდენტთა დაახლოებით 64% (242 ადამიანი) თვითდასაქმებას შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ მიიჩნევს, ხოლო 44%-თვის (167 ადამიანი) თვითდასაქმება შემოსავლის ერთადერთი წყაროა.
- ✓ რესპონდენტთა 7% (25 რესპონდენტი) საჯარო სექტორში მუდმივ სამსახურს შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ თვლის, ხოლო 3%-თვის (12 ადამიანი), საჯარო სამსახური შემოსავლის ერთადერთი ძირითადი წყაროა;
- ✓ რესპონდენტთა 6%-თვის (22 რესპონდენტი), შემოსავლის მთავარი წყარო არის მუდმივი სამსახური კერძო სექტორში, ხოლო რესპონდენტთა 4%-თვის (14 ადამიანი) კერძო სექტორი შემოსავლის ერთადერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს;
- ✓ რესპონდენტთა 36%-მა (135 ადამიანი) სოციალური დახმარება დაასახელა, როგორც შემოსავლის ერთ-ერთი წყარო; მათგან 16%-თვის (62 ადამიანი), სოციალური დახმარება შემოსავლის ერთადერთი ძირითადი წყაროა;
- ✓ რესპონდენტთა 12% (47 ადამიანი) ოჯახის წევრების შემოსავალს შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ თვლის; მათგან 4% (15 ადამიანი) მხოლოდ ოჯახის წევრების შემოსავალზეა დამოკიდებული;
- ✓ რესპონდენტთა 5%-თვის (19 ადამიანი) პენსია შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყაროა; მათ შორის 1.3%-თვის (5 ადამიანი) პენსია შემოსავლის ერთადერთი წყაროა;
- ✓ რესპონდენტთა 2% (6 ადამიანი) სეზონურ სამუშაოს შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ მიიჩნევს; მათგან 1% (4 ადამიანი) დამოკიდებულია სეზონურ სამუშაოზე, როგორც შემოსავლის ერთადერთ წყაროზე.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის 73%-ს (278 ადამიანი) გააჩნია შემოსავლის ერთი წყარო, 23%-ს (88 ადამიანი) - 2 ძირითადი წყარო, ხოლო 4% (14 ადამიანი) შემოსავალს სამი სხვადასხვა წყაროდან იღებს.

**შემოსავლის ორი ძირითადი წყაროს მქონე მოსახლეობა:**

- ✓ სახელმწიფო დახმარება და ოჯახის წევრების შემოსავალი რესპონდენტთა 4%-თვის (15 ადამიანი) წარმოადგენს შემოსავლის ორ ძირითად წყაროს;
- ✓ 2%-ს მიაჩნია, რომ თვითდასაქმება და ოჯახის წევრების შემოსავალი მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა;

- ✓ 10% (37 ადამიანი) აცხადებს, რომ თვითდასაქმება და სახელმწიფო დახმარება მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა;
- ✓ 2%-თვის (9 ადამიანი) პენსია და თვითდასაქმება შემოსავლის ძირითადი წყაროებია;
- ✓ პენსია და სახელმწიფო დახმარება შემოსავლის ძირითადი წყაროა 1%-თვის (4 ადამიანი);
- ✓ თვითდასაქმება და სეზონური სამუშაო 2 ადამიანისთვის (1%) წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს;
- ✓ თვითდასაქმება და კერძო სექტორი შემოსავლის ძირითადი წყაროა 4 ადამიანისთვის (1%);
- ✓ თვითდასაქმება და საჯარო სექტორში სამსახური 3 ადამიანისთვის (1%) წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს;
- ✓ სახელმწიფო დახმარება და კერძო სექტორში სამსახური შემოსავლის ძირითადი წყაროა 5 ადამიანისთვის (1%);
- ✓ ოჯახის წევრების შემოსავალი და საჯარო სექტორში სამსახური 1 ადამიანისთვის (1%) წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს;
- ✓ სახელმწიფო დახმარებასა და კერძო სექტორს 2 ადამიანი (1%) მიიჩნევს შემოსავლის ძირითად წყაროდ.


**შემოსავლის სამი წყაროს მქონე მოსახლეობა:**

- ✓ 9 რესპონდენტმა (2%) დაასახელა თვითდასაქმება, სახელმწიფო დახმარება და ოჯახის წევრების შემოსავალი, როგორც შემოსავლის სამი ძირითადი წყარო;
- ✓ სახელმწიფო დახმარება, პენსია და თვითდასაქმება ძირითადი შემოსავლის წყაროა 1 ადამიანისათვის;
- ✓ ასევე 1 ადამიანი მიიჩნევს თვითდასაქმებას, სახელმწიფო დახმარებასა და სამუშაოს საჯარო სექტორში შემოსავლის სამ ძირითად წყაროდ;
- ✓ თვითდასაქმება, ოჯახის წევრების შემოსავალი და საჯარო სექტორში სამსახური შემოსავლის სამი ძირითადი წყაროა 1 ადამიანისთვის;
- ✓ 2 ადამიანი მიიჩნევს შემოსავლის ძირითად წყაროებად თვითდასაქმებას, საჯარო სამსახურსა და კერძო სექტორში სამუშაოს.

სამიზნე სოფლებსა და ჩასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის მატერიალ-ეკონომიკური მდგომარეობის სრულად აღსაქმელად, რესპონდენტები მატერიალური რესურსების შესახებ გამოიკითხნენ. კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის მატერიალური რესურსები ძირითადად შემდეგ აქტივებს მოიცავს: სახლი (367 ადამიანი/97%), სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი (344 ადამიანი/91%), მსხვილფეხა რქოსანი საქონელი (174 ადამიანი/46%), წვრილფეხა რქოსანი საქონელი (176 ადამიანი/46%), ავტომობილი (96 ადამიანი/25%) და სხვა რესურსები (23 ადამიანი/6%), როგორცაა სატვირთო მანქანა, ავტობუსი, მოტოციკლი, ტრაქტორი და სხვ.




დიაგრამა N7 – აქტივები



რესპონდენტები განსხვავებულად აღიქვამენ მატერიალურ-ეკონომიკური პირობების დინამიკას: რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (55%/208 ადამიანი) მიიჩნევს, რომ მათი მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა **საერთოდ არ შეცვლილა** განვლილი ორი წლის მანძილზე; 36% (137 ადამიანი) თვლის, რომ მათი მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა **გაუარესდა** აღნიშნულ პერიოდში, ხოლო 8% (30 ადამიანი) მიიჩნევს, რომ მათი მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განვლილი 2 წლის მანძილზე **გაუმჯობესდა** (რესპონდენტთა 1%-მა ვერ შეძლო კითხვაზე პასუხის გაცემა).

დიაგრამა N8 – სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გასული 2 წლის მანძილზე



მატერიალურ-ეკონომიკური პირობების **გაუარესების მთავარ მიზეზად** მიიჩნევა ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (65 ადამიანი/47%), მარჩენალის დაკარგვა (7 ადამიანი/5%), სამსახურის დაკარგვა (7 ადამიანი/5%), სესხი/კრედიტი მიკრო-საფინანსო ორგანიზაციაში ან ბანკში (6 ადამიანი/4%), ბუნებრივი კატასტროფა (2 ადამიანი/1%), ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და სხვა (7 ადამიანი/5%).

ზოგიერთი რესპონდენტი მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიზეზად ერთზე მეტ ფაქტორს მიიჩნევს:

- ✓ 4 რესპონდენტი (3%) თვლის, რომ მათი მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა როგორც ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ასევე ბუნებრივი კატასტროფის გამო;
- ✓ 11 ადამიანი (8%) მიიჩნევს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და სამსახურის დაკარგვას მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მთავარ მიზეზად;
- ✓ 7 რესპონდენტი (5%) მთავარ მიზეზად ასახელებს არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და მარჩენალის დაკარგვას;
- ✓ 22 ადამიანი (16%) თვლის, რომ მათი მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიზეზი ორზე მეტი ფაქტორია.

მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მთავარ ფაქტორად მიიჩნევენ სახელმწიფო დახმარების პროგრამებს (17 რესპონდენტი), კერძო ბიზნესსა (5 რესპონდენტი) და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებს (ლტოლვილთა დანიური საბჭო (DRC) და “კივიტას გეორგიკა“ (CIVITAS)) (2 რესპონდენტი).

**საწარმოები სოფლების/ჩასახლებების მიხედვით**

ფინანსური და მატერიალური რესურსების გარდა, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აუცილებელ სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. სამიზნე სოფლებსა და ჩასახლებებში არსებული სიტუაციის შესაფასებლად, რესპონდენტები გამოიკითხნენ მათ თემებში არსებული საწარმოების შესახებ, რომლებიც მოსახლეობის ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს.

ცხრილი N2 ასახავს კვლევის შედეგებს სამიზნე სოფლებსა და ჩასახლებებში სხვადასხვა საწარმოს არსებობის შესახებ

**ცხრილი N2 – სამიზნე სოფლებსა და ჩასახლებებში არსებული საწარმოები მუნიციპალიტეტების მიხედვით**

N	სოფელი/ჩასახლება	ამჟღადობის მაღაზია	სილამაზის სალონი	საცხობი	ინტერნეტ კაფე	აგრო მაღაზია	აფთიაქი	საბავშვო მაღი	იუსტიციის სახლი	ბანკი
<b>გორი</b>										
1	დიცი	✓	✓		✓		✓	✓		
2	ქორდი	✓	✓					✓		
3	ერგნეთი	✓	✓			✓				
4	მერეთი	✓	✓		✓	✓	✓	✓		
5	კოშკა	✓	✓	✓		✓		✓		
6	ქერე	✓	✓							
7	ხურვალეთი	✓	✓							
8	მეჯვრისხევი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
9	ფლავი	✓	✓	✓		✓		✓		
10	ფლავისმანი	✓	✓	✓		✓		✓		
11	ვერხვების ჩასახლება	✓	✓					✓		
12	ბერბუკის ჩასახლება	✓	✓		✓					
13	კარალეთის ჩასახლება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓		
14	საქაშეთის ჩასახლება	✓	✓							
15	შავშეების ჩასახლება		✓							
16	ხურვალეთის ჩასახლება	✓	✓							
17	გორი, კომბინატის ჩასახლება	✓	✓	✓	✓		✓	✓		
18	სკრის ჩასახლება				✓					
19	გორი 2 დ. ჭონქაძის ქუჩის ჩასახლება	✓	✓	✓	✓		✓	✓		
20	გორი, თამარ მეფის ჩასახლება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓		
<b>კასპი</b>										
1	მეტეხის ჩასახლება	✓								
2	ხვითი	✓	✓							
3	თვაურები	✓								



- ნაწილობრივი კმაყოფილების მთავარი მიზეზი მომსახურების მაღალი ფასებია, 16 (28%) ფინანსურ პრობლემებს ასახელებს, ხოლო 7 (12%) - მომსახურების დაბალ ხარისხს (დარჩენილი 15 რესპონდენტი (26%) ვერ აკონკრეტებს მიზეზს);
- ✓ 91 რესპონდენტი (24%) მათგან, ვინც ნაწილობრივ ან სრულად კმაყოფილია მიღებული სამედიცინო მომსახურებით, თვლის, რომ არსებული საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა ფარავს ჯანდაცვასთან დაკავშირებულ მათ ყველა ელემენტარულ საჭიროებას.

### **სკოლამდელი განათლების (საბავშვო ბაღი) მომსახურების ხარისხი**

246-მა რესპონდენტმა (65%) აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღი არსებობს მათ სოფელში/ჩასახლებაში, რომელთაგანაც **48%-მა** (117 ადამიანი) მიღებული სერვისი **დადებითად** შეაფასა, **20%-მა** (50 რესპონდენტი) - საშუალოდ, ხოლო **3%-მა** (7 რესპონდენტი) საბავშვო ბაღის მომსახურება **უარყოფითად** შეაფასა. დარჩენილმა 72-მა რესპონდენტმა (29%) ვერ შეძლო მათ სოფელში/ჩასახლებაში არსებული საბავშვო ბაღის სერვისის შეფასება.

### **ყველაზე მოთხოვნილი სოციალური საწარმოები და სერვისები**

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა მოსახლეობის აზრი მათ სოფელში/ჩასახლებაში საჭირო საწარმოს ტიპის შესახებ. საჭიროების მიხედვით, რესპონდენტებს ერთზე მეტი საწარმოს დასახელება შეეძლოთ. ანალიზის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა **57%-მა** (216 ადამიანი) დაასახელა აფთიაქი, **44%-მა** (168 ადამიანი) - სასოფლო-სამეურნეო მაღაზია, **43%-მა** (165 ადამიანი) - ინტერნეტ კაფე, **40%-მა** (152 ადამიანი) - საცხობი, **38%-მა** (146 ადამიანი) - სილამაზის სალონი, **28%-მა** (106 ადამიანი) - საბავშვო ბაღი, **10%-მა** (36 ადამიანი) - ამბულატორია, **3%-მა** (11 ადამიანი) - სოფლის კლუბი, **7%-მა** (27 ადამიანი) - მაღაზია, ხოლო **32%-მა** (122 ადამიანი) რეკომენდაცია გაუწია სხვადასხვა ტიპის სოციალურ საწარმოებს, როგორცაა: კულტურის სახლი, სპორტული დარბაზი, სკოლა, ბავშვთა გასართობი ცენტრი, მუსიკის/ცეკვის დარბაზი, სათამაშო მოედანი, კაფე/საკონდიტრო და სხვ.

რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზის შედეგების მიხედვით, სიტუაცია ძირითადი სოციალური სერვისების არსებობის, ხელმისაწვდომობისა და ხარისხის შესახებ განსხვავდება ოთხ მუნიციპალიტეტს, ისევე როგორც ცალკეულ მუნიციპალიტეტში შემავალი სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლებებს შორის. შესაბამისად, სოციალურ, ისევე როგორც დასაქმებაზე ორიენტირებულ საწარმოებზე/სერვისებზე მოთხოვნა, განსხვავდება ცალკეული ჩასახლების/სოფლის მონაცემთა ანალიზისას. მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი სოციალური საწარმოების შესახებ ინფორმაცია თითოეული ჩასახლებისა და სოფლის მიხედვით შესაბამის ცხრილებშია ასახული, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მოსაზრებები წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების შესაბამისად.

კვლევა მიზნად ისახავდა ინფორმაციის მოპოვებას იმ სოციალური საწარმოების შესახებ, რომელთა ჩამოყალიბება არ არის რეკომენდებული ცალკეულ სოფლებში/ჩასახლებებში, რეგიონის ადგილობრივი რესურსებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. თუმცა, რესპონდენტებმა უმეტესწილად ვერ შეძლეს მათი დაკონკრეტება. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, ნებისმიერი ტიპის საწარმოს წარმატებული ფუნქციონირებისა და მდგრადობის წინაპირობა წყალმომარაგების/საირიგაციო სისტემებისა და გამართული გზების არსებობაა, რაც სოფლების/ჩასახლებების უმეტესობაში დიდ პრობლემას წარმოადგენს. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს წინაპირობები არ დაკმაყოფილდება, არც ერთი სოციალური საწარმო არ იფუნქციონირებს სათანადოდ.

მუნიციპალურმა, ისევე როგორც თემის დონის ხელმძღვანელებმა ხაზი გაუსვეს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, როგორცაა: **უმუშევრობა, შიდა გზები, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები და სხვ.** მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სოციალური პრობლემა გარკვეულწილად მოგვარებულია ან იგეგმება მათი მოგვარება მუნიციპალური ბიუჯეტებით დაფინანსებული თემის განვითარების პროგრამების ან სხვადასხვა საერთაშორისო არასამთავრობო პროექტების მეშვეობით, მოსახლეობას განუზომელი საჭიროებები გააჩნია და მათი სრულად მოგვარება ვერ ხერხდება. როგორც გამოვლინდა, კვლევის განხორციელებისას იძულებით გადაადგილებულ პირთა სამიზნე ჩასახლებების უმრავლესობაში გაზიფიცირება ახალი დასრულებული იყო ან კვლევის პროცესში მიმდინარეობდა, რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა შიდა გზები და სირთულე შეუქმნა სამიზნე მოსახლეობას ტრანსპორტირების თვალსაზრისით. უმრავლეს შემთხვევაში, მოსახლეობა, ისევე როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, მიიჩნევს, რომ თუ ინფრასტრუქტურული (გზების) და საირიგაციო პრობლემები არ მოგვარდება, ვერც ერთი საწარმო ვერ იქნება წარმატებული და მდგრადი.

პროექტი მოიაზრებს სამიზნე მოსახლეობის (იძულებით გადაადგილებულ და თემებში დაბრუნებულ პირთა) სრულ ჩართულობას სერვისების/კომპანიების ჩამოყალიბების პროცესში მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ. საბაზისო კვლევამ შეაფასა სამიზნე მოსახლეობის მზაობა აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში პროექტთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. კვლევის შედეგების მიხედვით, 326-მა რესპონდენტმა (86%) გამოხატა მზადყოფნა, შესაბამისი მხარდაჭერის არსებობის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს თავიანთ სოფლებში/ჩასახლებებში საწარმოს დაარსების პროცესში. მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გარკვეული მხარდაჭერა აუცილებელია საწარმოს შესაქმნელად: 328 რესპონდენტი (86%) თვლის, რომ ადგილობრივი თითმმართველობის მხარდაჭერაა არსებითი; 181 რესპონდენტი (48%) აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია სერვისის მიმწოდებელთა ცოდნა და უნარები; ხოლო 227 რესპონდენტი (60%) მნიშვნელოვნად თვლის მატერიალურ-ფინანსურ რესურსებს სხვადასხვა სოციალური საწარმოს შესაქმნელად.

### გორის მუნიციპალიტეტი

რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, ცხრილი N3 ასახავს ყველაზე მოთხოვნად სოციალურ საწარმოებსა და სერვისებს გორის მუნიციპალიტეტში, სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლებების მიხედვით:

**ცხრილი N3** – ყველაზე მოთხოვნი სოციალური საწარმოები და სერვისები ჩასახლებებისა და სოფლების მიხედვით (გორის მუნიციპალიტეტი)

N	სოფელი/ჩასახლება	ამბულატორია	მღაზია	საბავშვო ბაღი	აფთიაქი	აგრო მღაზია	ინტერნეტ კაფე	საცხობი	სილამაზის სალონი
<b>გორი</b>									
1	ვერხვების ჩასახლება			2	9			4	4
2	ბერბუკის ჩასახლება			3	4			3	1
3	კარალეთის ჩასახლება				3	5	10	10	9
4	საქაშეთის ჩასახლება		1	2	3	2	2	2	2
5	სკრის ჩასახლება	2	3	2	3	1			
6	შავშვების ჩასახლება	6			4	1	1	3	1
7	ხურვალეთის ჩასახლება			5	5	1	2	4	3
8	გორი, კომბინატის ჩასახლება						1		
9	ერგნეთი	1	6	5	9	2	6	4	4
10	კოშკა	3	4	3	6	2	3	4	1
11	ფლავი	3	2	2	16	11	5	13	2
12	ფლავისმანი	1			9	2	1	5	
13	დიცი			3	2	18	17	1	17
14	ქერე			13	10	6	4	10	7
15	ხურვალეთი			10	10	8	5	8	5
16	მეჯვრისხევი						16		
17	მერეთი				13	8	16	16	17
18	ქორდი				13	13	12	13	11
19	გორი, ჭონქაძის ქ. 2-ის ჩასახლება								
20	გორი, თამარ მეფის ქ. ჩასახლება								
<b>სულ</b>		<b>16</b>	<b>16</b>	<b>50</b>	<b>119</b>	<b>80</b>	<b>101</b>	<b>100</b>	<b>84</b>

რესპონდენტებს სთხოვეს, დაესახელებინათ დასაქმებაზე ორიენტირებული საწარმოები, რომლებიც წარმატებით იმუშავებდნენ მათ სოფლებში/ჩასახლებებში ადგილობრივად არსებული რესურსებისა და მოსახლეობის საჭიროებების/მოთხოვნების გათვალისწინებით. ზოგმა რესპონდენტმა ვერ შეძლო საწარმოს ტიპის დაკონკრეტება, რომელიც საჭირო იქნებოდა მათ სოფელში/ჩასახლებაში, ხოლო ზოგმა ორი და მეტი საწარმო დაასახელა. ქვემოთ მოცემული ცხრილი N4 ასახავს კვლევის შედეგებს ყველაზე მოთხოვნი დასაქმებაზე ორიენტირებული საწარმოების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის სამიზნე ჩასახლებებსა და სოფლებში.

**ცხრილი N4 – ყველაზე მოთხოვნი დასაქმებაზე ორიენტირებული და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები - გორის მუნიციპალიტეტი**

N	სოფელი/ჩასახლება	ხილის გადამამუშავებელი ქარხანა	საქონლის ფერმა	მეფრინველეობის ფერმა/ფე ბოსტნეულის გადამამუშავებელი ქარხანა	რძის უმღვრ. ცენტრი (MCC)	ჩირის წარმოება	წყლის რეზერვუარი	სათბური	მეფუტკრეობა	მარცვლეულის გადამამუშავება	კერვა	მაცივარი	სოფლის მეურნეობა	კომბიუტერული აპარატები
<b>გორი</b>														
1	დიცი	13	1	2	2				2	1	1	1		
2	ვერხვების ჩასახლება			1				2						
3	ბერბუკის ჩასახლება			1	1			2		2				
4	კარალეთის ჩასახლება	5	3	2	3			3			2			
5	საქაშეთის ჩასახლება	1		2				1	1		1			
6	სკრის ჩასახლება	2		1		1								
7	შავშეების ჩასახლება	1			2			1		1	1			
8	ხურვალეთის ჩასახლება	1						2					1	
9	გორი, 2 ჭონქაძის ქ. ჩასახლება	1												
10	გორი, თამარ მეფის ქ. ჩასახლება			2	1									
11	გორი, კომბინატის დასახლ.			1										
12	ერგნეთი	6		1	2	1		1						
13	კოშკა	4				4	2							1
14	ფლავი	14	3			1	1							
15	ფლავისმანი	8			1									
16	ქერე	9			2	2	2		1	1				
17	ქორდი	10			3					4	1	1		
18	ხურვალეთი	2	1	2	1					2				
19	მერეთი	16	1		1	1			1		2			
20	მეჯვრისხევი	4	3	3		18	6		6		2	1		
<b>სულ:</b>		<b>97</b>	<b>12</b>	<b>16</b>	<b>19</b>	<b>30</b>	<b>11</b>	<b>1</b>	<b>18</b>	<b>9</b>	<b>7</b>	<b>10</b>	<b>2</b>	<b>1</b>

ადგილობრივ ხელისუფლებასთან - გორის მუნიციპალიტეტის გამგებელთან და თემების რწმუნებულებთან და მამასახლისებთან ჩატარებულმა გამოკითხვებმა გამოავლინა დამატებითი საჭიროებები, რაც მოსახლეობას არ დაუსახელებია:

- ✓ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა - ამჟამად მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო მანქანების სხვა რეგიონიდან ჩამოყვანა უწევს, რის გამოც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ფერხდება. აღნიშნული ვითარება უარყოფითად მოქმედებს სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის მოსავლიანობაზე. მნიშვნელოვანია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროცესები დროულად განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო კალენდრის შესაბამისად, რასაც შესაბამისი ტექნიკის უქონლობა აფერხებს.
- ✓ ზოგიერთ ჩასახლებაში არსებობს **სათამაშო მოედნები**, რომლებიც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოაწყვეს გარკვეული პერიოდის წინ; ეს მოედნები

ბავშვებისთვის ერთადერთი გასართობი ადგილია. თუმცა, სათამაშო მოედნების აღჭურვილობა უკვე დაზიანებულია და აღდგენას საჭიროებს.

- ✓ ხილისა და ბოსტნეულის შესანახი **მაცივრების** არსებობა ადგილობრივ ეკონომიკას წაადგებოდა, რადგან მოსახლეობას სოფლის მეურნეობის პროდუქციის დასაწყობებისა და ეტაპობრივად შედარებით მაღალ ფასში რეალიზების საშუალებას მისცემდა. ამჟამად მოსახლეობა იძულებულია, რომ მოსავლის რეალიზაცია ბითუმად, დაბალ ფასად მოახდინოს მისი ღპობის თავიდან აცილების მიზნით. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, რომ ცალკეულ ჩასახლებაში/სოფელში რეკომენდებული სოციალური საწარმოების იდენტიფიცირებამდე, აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძვლიანი შეფასება ადგილობრივი რესურსებისა და მახასიათებლების (კლიმატი, ნიადაგის შემადგენლობა, ფლორა, ფაუნა და სხვ) გათვალისწინებით.

### ქარელის მუნიციპალიტეტი

რაოდენობრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მე-5 ცხრილი ასახავს ყველაზე მოთხოვნად სოციალურ საწარმოებსა და სერვისებს ქარელის მუნიციპალიტეტში სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლების მიხედვით:

**ცხრილი N5** - ყველაზე მოთხოვნი სოციალური საწარმოები და სერვისები მუნიციპალიტეტების მიხედვით - ქარელი

N	სოფელი/ჩასახლება	ამბულატორია	მღაზია	საბავშვო ბაღი	აფთიაქი	აგრო მაღაზია	ინტერნეტ კაფე	საცხობი	სილამაზის სალონი
<b>ქარელი</b>									
1	ახალსოფლის ჩასახლება	4	4		4	3		3	
2	მოხისის ჩასახლება				2	1		1	1
3	ქარელი, ახალგაზრდობის ქ. 5-ის ჩასახლება.			2	1				
4	ქარელი, ვაჟა-ფშაველას ქ. 117 ჩასახლება	2		2	2		2		2
5	ატოცი	6		9	10	9	5	5	5
6	დირბი				18	29	26		23
7	დვანი				14	14	10	13	8
8	წერონისი		1	9	6	7	4	7	4
9	ავლევი			6	7	5	4	5	3
10	თამარაშენი			8	8	8	4	4	3
<b>სულ</b>		<b>12</b>	<b>5</b>	<b>36</b>	<b>72</b>	<b>76</b>	<b>55</b>	<b>38</b>	<b>49</b>

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებისა და ჩასახლებების რესპონდენტების მიერ რეკომენდებული დასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური საწარმოები, რომლებიც წარმატებით იმუშავენ ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით, წარმოდგენილია მე-6 ცხრილში:



**ცხრილი N6 – ყველაზე მოთხოვნადი დასაქმებაზე ორიენტირებული და სასოფლო-სამეურნეო საქარმოები - ქარელი**

N	სოფელი/ჩასახლება	ბილის გადამამუშავებელი ქარხანა	მეცხოველეობის ფერმა	მეფრინველეობის ფერმა	გადამამუშავებელი ქარხანა	რძის შემკვრები ცენტრი (MCC)	ჭირის წარმოება	სათბური	მეფუტკრეობა	მარცვლეულის გადამამუშავება	ტრაქტორის მომსახურება	კერვა	ვეტერინარული მომსახურება	წისკილი	სოფლის მეურნეობა
<b>ქარელი</b>															
1	ახალსოფლის ჩასახლება			3						2		1			
2	მოხისის ჩასახლება				1							1			
3	ქარელი, ახალგაზრდობის ქ. 5-ის ჩასახლება.	1					1						1		
4	ქარელი, ვაჟა- ფშაველას ქ. 117 ჩასახლება			2											
5	დირბი	33	8	17	3			1	3			3			
6	დვანი	14									1				
7	ავლევი	4	1			1	1	3							3
8	წერონისი	8	3			1								1	
9	ატოცი		6	1	2			2	1						
10	თამარაშენი	4	1		2			2	2						2
<b>სულ</b>		<b>64</b>	<b>19</b>	<b>23</b>	<b>8</b>	<b>2</b>	<b>1</b>	<b>1</b>	<b>8</b>	<b>8</b>	<b>1</b>	<b>5</b>	<b>1</b>	<b>1</b>	<b>5</b>

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელისა და თემის რწმუნებულების/მამასახლისების მიერ ჩადრმავებული ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფის დისკუსიის დროს აღნიშნული დამატებითი საჭიროებებია:

- ✓ **საცხოზის** დაარსება სასარგებლო იქნებოდა არა მხოლოდ ახალსოფლის ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ მიმდებარე სოფლების 800 შინამეურნეობისთვისაც, რომელთაც ამჟამად ხაშურის რაიონულ ცენტრში რამდენიმე დღის სამყოფი პურის მარაგის შექმნა უწევთ ახალი პურის ფასად. საცხოზის დაარსება არა მხოლოდ საჭირო მომსახურებით უზრუნველყოფდა მოსახლეობას, არამედ კარგი ბიზნეს იდეაც იქნებოდა.
- აღსანიშნავია, რომ ქარელის იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლების რწმუნებული („კომბინატის“ ჩასახლება N2) რამდენიმე საცხოზს ამუშავებს გორში და სხვა თემებში აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით (NEO პროექტი); დამატებითი დაფინანსების არსებობის პირობებში, შესაძლებელი იქნებოდა საცხოზის დაარსება (შესაძლოა, რამდენიმე მეზობელი თემის ერთიანი ძალისხმევით), რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას პურით მოამარაგებდა.
- ✓ სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლების უმრავლესობა სოფლის მეურნეობაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ყველაზე მოთხოვნადი სერვისებია: **სოფლის მეურნეობის ტექნიკა-დანადგარები**, სათესლე და სანერგე მასალა და სერვის ცენტრი. მოსახლეობას არ გააჩნია საჭირო დანადგარები (ან მოძველებულ ტექნიკას ფლობს); ტექნიკური მანქანა-დანადგარები არ არსებობს ახლომდებარე სოფლებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებშიც. უახლოესი ადგილი, სადაც სასოფლო-სამეურნეო

ტექნიკა (ტრაქტორი, გუთანნი, ფრეზი) ხელმისაწვდომია, არის აგარა, რომელიც ძალიან შორს მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტის სამიზნე სოფლებისა და ჩასახლებებიდან; შესაბამისად, შორი მანძილი და საწვავის ხარჯები მომსახურების ფასს ზრდის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხელმიუწვდომელს ხდის აღნიშნულ სერვისს. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა სარგებელს მოუტანდა არაერთ მეზობელ თემს და ასევე შეამცირებდა ამჟამად არსებულ ტექნიკაზე მოთხოვნას (რომელსაც რამდენიმე თემი იყენებს) და მასთან დაკავშირებულ სირთულეებს.

- ✓ მოსახლეობის მიერ მოთხოვნადი სასოფლო-სამეურნეო მაღაზიების გარდა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია **საკონსულტაციო სერვისი სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე**, რაც ხელს შეუწყობდა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას არსებული რესურსებისა და შხამ-ქიმიკატების ოპტიმალურად გამოყენების შესახებ უკეთესი ხარისხის პროდუქციის/მოსავლის მისაღებად. სამიზნე რეგიონებში არ არსებობს საკონსულტაციო ცენტრი, სადაც ფერმერები შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალისგან მიიღებდნენ რჩევებსა და ინფორმაციას ახალი მეთოდოლოგიების, ქიმიკატების, მათი დოზირებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ.
- ✓ **მაცივარი** ძალიან სასარგებლო იქნებოდა მუნიციპალიტეტისთვის, რადგან სამიზნე სოფლებსა და ჩასახლებებში დიდი რაოდენობით წვრილკურკოვანი ხილი მოდის. მაცივრის არსებობის შემთხვევაში, მოსახლეობა შეძლებდა მოსავლის (ხილი და ბოსტნეული) გარკვეული ვადით დასაწყობებას ლპობის თავიდან ასაცილებლად მოსავლის აღებისთანავე მისი იაფად რეალიზაციის ნაცვლად. მაცივრის არარსებობის გამო მოსახლეობას უწევს პროდუქციის გაყიდვა, როცა ბაზარზე უხვი მოსავალია, რაც მოგებას ამცირებს.
- ✓ ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ხაზი გაუსვა **ტურიზმის განვითარების** საჭიროებას. მუნიციპალიტეტს განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის დიდი პოტენციალი გააჩნია ადგილობრივად არსებული მდიდარი რესურსებისა და კულტურულ მემკვიდრეობის<sup>7</sup> გათვალისწინებით. როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლება ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ორანიზაციას მიმართა რელიგიური ტურიზმის განვითარების ინიციატივით, თუმცა ინტერესი ჯერჯერობით არავის გამოუხატავს.

<sup>7</sup> ქარელის მუნიციპალიტეტში მდინარე ძამას ხეობა, სადაც 60-მდე ეკლესია მდებარეობს, ისტორიული მნიშვნელობისაა

### ხაშურის მუნიციპალიტეტი

რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, ხაშურის მუნიციპალიტეტის სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლებში და იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლებებში ყველაზე მოთხოვნადი სოციალური საწარმოები და სერვისები ასახულია მე-7-ე ცხრილში:

**ცხრილი N7 - ყველაზე მოთხოვნადი საწარმოები და სერვისები მუნიციპალიტეტების მიხედვით - ხაშური**

N	სოფელი/ჩასახლება	ამბულატორია	მანაზი	საბავშვო ბაღი	აფთიაქი	აგრო მანაზი	ინტერნეტ კაფე	საცხობი	სილამაზის სალონი
<b>ხაშური</b>									
1	წაღვლი			10	12	6	3	6	8
2	ჩორჩანა								
3	ჩუმათელეთის ჩასახლება								
4	ხაშური, რუსთაველის ქ. 38 ჩასახლება								
5	ხაშური, 109 სტალინი/ბორჯომის ქ. ჩასახლება								
6	ხაშური, 4 სტალინის ქ. ჩასახლება								
<b>სულ</b>		<b>2</b>	<b>1</b>	<b>12</b>	<b>14</b>	<b>6</b>	<b>3</b>	<b>7</b>	<b>8</b>

ქარელის მუნიციპალიტეტის სამიზნე სოფლებისა და ჩასახლებების რესპონდენტების მიერ რეკომენდებული დასაქმებაზე ორიენტირებული საწარმოები, რომლებიც წარმატებით იძუშავებდნენ ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით, ასახულია მე-8 ცხრილში:

**ცხრილი N8 – ყველაზე მოთხოვნადი დასაქმებაზე ორიენტირებული და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები - ქარელი**

N	სოფელი/ჩასახლება	ხილის გადამამუშავებელი ქარხანა	მეცხოველეობის ფერმა	მეფრინველეობის ფერმა	რძის შემკვრები ცენტრი (MCC)	მეფუტკრეობა	მარცვლეულის გადამამუშავება	ტრაქტორის მომსახურება	კერვა	წისქვილი
<b>ხაშური</b>										
1	წაღვლი	6	2		8		5			3
2	ჩორჩანა									
3	ხაშური, რუსთაველის ქ.38-ის ჩასახლება									
4	ხაშური, სტალინის ქ. 119-ის ჩასახლება.									
5	ხაშური, სტალინის ქ. 4-ის ჩასახლება.									
6	ჩუმათელეთის ჩასახლება									
<b>სულ</b>		<b>8</b>	<b>3</b>	<b>1</b>	<b>8</b>	<b>1</b>	<b>5</b>	<b>1</b>	<b>1</b>	<b>3</b>

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა და თემის რწმუნებულებმა ხაზი გაუსვეს სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლებების სპეციფიკას, რაც დამატებით წარმოდგენას გვიქმნის მოსახლეობის მიერ მოთხოვნადი სოციალური საწარმოების შესაბამისობაზე და მდგრადობაზე:

- ✓ რეგიონში არ არსებობს **განსაკუთრებული ბუნებრივი რესურსები**, რაც ხელს შეუწყობდა სოფლის მეურნეობაზე ორიენტირებული საწარმოების დაფუძნებასა და მის მდგრადობას. რეგიონი არ გამოირჩევა მეწარმეობის რომელიმე ტრადიციული ფორმით. **მცირე მეწარმეობის** განვითარება (მაგალითად სამკერვალო სახელოსნო) კარგი იდეა იქნებოდა მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში არბაითერ-სამარიტერ-ბუნდის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იქნებოდა არა მხოლოდ საწარმოს ჩამოყალიბების, არამედ სამომხმარებლო ბაზართან დაკავშირების უზრუნველსაყოფად;
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში მეხილეობა განვითარებულია, **ხილის გადამამუშავებელი/წვენის საწარმო** არ იქნებოდა წარმატებული და მდგრადი სხვა ქართული და უცხოური კომპანიების მიერ შექმნილი მაღალი კონკურენტული გარემოს გამო. გარდა ამისა, სტანდარტებთან შესაბამისობისა და კონკურენტუნარიანობისათვის, მსგავსი საწარმოს ჩამოყალიბება დიდ ინვესტიციას მოითხოვს (შენობა, დანადგარები და სხვ.);
- ✓ **მარკეტები/სწრაფი კვების ობიექტები/საცხოვრები** და მსგავსი ტიპის საწარმოები არ იქნებოდა მდგრადი, რადგან მოთხოვნა მათ პროდუქციაზე დაბალია ერთის მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის სიმწირისა და სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლებიდან მაღალი გადინების გამო, და მეორეს მხრივ, მართვის, მომარაგებისა და მარკეტინგისათვის საჭირო შესაძლებლობების/ცოდნის ნაკლებობის გათვალისწინებით;
- ✓ **მაცივარი** სასარგებლო იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რადგანაც სოფლის მეურნეობის პროდუქტის (ხილი, ბოსტნეული) დასაწყობებისა და შემდგომში უფრო მაღალ ფასად რეალიზაციის, შესაბამისად, მოგების გაზრდის საშუალებას მისცემდა.

### კასპის მუნიციპალიტეტი

მე-9 ცხრილი წარმოგვიდგენს რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, კასპის მუნიციპალიტეტის სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლებებში ყველაზე მოთხოვნად სოციალურ საწარმოებსა და სერვისებს.

**ცხრილი N9 – ყველაზე მოთხოვნი საწარმოები და სერვისები მუნიციპალიტეტების მიხედვით - კასპი**

N	სოფელი/ჩასახლება	ამბულატორია	მწაწა	საბავშვო ბაღი	აფთიაქი	აგრო მაღაზია	ინტერნეტ კაფე	საცხობი	სილამაზის სალონი
<b>კასპი</b>									
1	თელიანის ჩასახლება	1	1		2		1	2	
2	მეტეხის ჩასახლება		1	1	1	1	1	1	1
3	ხვითი	5	1	4	6	4	3	3	3
4	თვაურები		2	1	2	1	1	1	1
<b>სულ</b>		<b>6</b>	<b>5</b>	<b>6</b>	<b>11</b>	<b>6</b>	<b>6</b>	<b>7</b>	<b>5</b>

მე-10 ცხრილში ასახულია მოსახლეობის მიერ რეკომენდებული დასაქმებაზე

ორიენტირებული საწარმოები, რომლებიც წარმატებით იმუშავებდა რეგიონის სპეციფიკისა და ადგილობრივად არსებული რესურსის გათვალისწინებით.

**ცხრილი N10 – ყველაზე მოთხოვნადი დასაქმებაზე ორიენტირებული და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები - კასპი**

N	სოფელი/ჩასახლება	ბილის გადამამუშავებელი ქარხანა	მეცხოველეობის ფერმა	მეფრინველეობის ფერმა	ბოსტნ. გადაა.ა.უმ. ქარხანა	რძის შემკვრები ცენტრი (MCC)	სათბური	მეფულტკრეობა	კერვა
<b>კასპი</b>									
1	თელიანის ჩასახლება			1	1		2	1	
2	მეტეხის ჩასახლება	1					1		1
3	ხვითი	2	4	1		2			
4	თვაურები	3							
<b>სულ</b>		<b>6</b>	<b>4</b>	<b>2</b>	<b>1</b>	<b>2</b>	<b>3</b>	<b>1</b>	<b>1</b>

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის აზრით, უპირველეს ყოვლისა, სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლებს უსაფრთხოების პრობლემა აწუხებთ რუსი სამხედროების მიერ ქართველი მოსახლეობის მოტაცების შემთხვევების გამო. გარდა ამისა, მათ ხელი არ მიუწვდებათ ძირითად სოციალური სერვისებზე, როგორცაა სასმელი წყლით მომარაგება და სარწყავი სისტემები; მოსახლეობის უმრავლესობას ჯანდაცვის მომსახურებაზე<sup>8</sup> ნაწილობრივ მიუწვდება ხელი; კასპის მუნიციპალიტეტის სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლებში ასევე არ არსებობს საბავშვო ბაღი.

**მესაქონლეობა, მეფულტკრეობა და მსგავსი** საწარმოების დაარსება ყველაზე რელევანტურია ადგილობრივად არსებული რესურსების გათვალისწინებით. თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლის აზრით, თანადაფინანსების მიდგომა არ იმუშავებს, რადგან მოსახლეობა მცირედ წვლილსაც ვერ შეიტანს შესაბამისი რესურსების არქონის გამო .

### ცოდნის შეფასება

საპროექტო განაცხადის შესაბამისად, პროექტი მიზნად ისახავს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის/ბენეფიციარების, ასევე სამიზნე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების შესაძლებლობების გაზრდას იძულებით გადაადგილებული პირებისა და თემებში დაბრუნებული მოსახლეობის, ისევე როგორც მათი მიმღები თემებისათვის უკეთესი სერვისების მიწოდების ხელშესაწყობად. შესაბამისად, საბაზისო კვლევამ შეაფასა სამიზნე მოსახლეობის ცოდნა საპროექტო განაცხადისა და ლოგიკური ჩარჩოს ფარგლებში წინასწარ განსაზღვრულ თემებზე. კვლევის შედეგები თემატურად არის შეჯამებული ქვემოთ მოცემულ შესაბამის ქვეთავებში:

#### ბიზნეს გეგმის შექმნა

68-მა პირმა (18%) განაცხადა, რომ გააჩნია ცოდნა ბიზნესის გეგმის შექმნაში; 44-მა რესპონდენტმა შეაფასა თავისი ცოდნა კარგად (37%) ან ძალიან კარგად (28%); 6-მა რესპონდენტმა შეაფასა თავისი ცოდნა ცუდად (8%) ან ძალიან ცუდად (1%), ხოლო დანარჩენმა 18-მა რესპონდენტმა (26%) თავისი ცოდნა შეაფასა საშუალოდ.

<sup>8</sup> გამგებლის აზრით, მოთხოვნაა რომ ამბულატორია ყველა სოფელში იყოს, თუმცა ეს სტანდარტი არ არის შესრულებული.

კვლევის შედეგების მიხედვით, 16-მა რესპონდენტმა მიიღო ცოდნა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 28 რესპონდენტმა - ტრენინგებზე, 7-მა - შესაბამისი ლიტერატურიდან და 34-მა - პრაქტიკული გამოცდილებით.

312 რესპონდენტიდან, ვინც განაცხადა, რომ არ იცის ბიზნეს გეგმის შემუშავება, 159-მა (51%) გამოხატა ცოდნის გაღრმავების მზაობა, ხოლო დარჩენილ 153 რესპონდენტს (49%) არ სურს ცოდნის გაუმჯობესება.

#### მარკეტინგი

30-მა რესპონდენტმა (8%) განაცხადა, რომ გააჩნია ცოდნა მარკეტინგში, 24-მა რესპონდენტმა შეაფასა თავისი ცოდნა კარგად (37%) ან ძალიან კარგად (43%); 3-მა რესპონდენტმა (10%) - უარყოფითად, ხოლო დარჩენილმა 3-მა რესპონდენტმა (10%) საშუალოდ შეაფასა თავისი ცოდნა.

12-მა რესპონდენტმა ცოდნა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიიღო, 10-მა რესპონდენტმა - ტრენინგებზე, 5-მა - შესაბამისი ლიტერატურიდან და 13-მა - პრაქტიკული გამოცდილებიდან.

350 რესპონდენტიდან, რომელთაც განაცხადეს, რომ არ გააჩნიათ ცოდნა მარკეტინგში, 188-ამ (54%) გამოხატა მზაობა ცოდნის გაღრმავების კუთხით, ხოლო დარჩენილ 162 რესპონდენტს (46%) არ სურს ცოდნის გაუმჯობესება.


#### ფინანსები

57-მა პირმა (15%) განაცხადა, რომ გააჩნია ცოდნა ფინანსებში; 42-მა რესპონდენტმა შეაფასა საკუთარი ცოდნა კარგად (35%) ან ძალიან კარგად (39%); 1-მა რესპონდენტმა - ცუდად (1%) და დარჩენილმა 14-მა რესპონდენტმა (25%) საშუალოდ შეაფასა საკუთარი ცოდნა.

22-მა რესპონდენტმა საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიძინა ცოდნა, 9 რესპონდენტმა - ტრენინგებზე, 4-მა - შესაბამისი ლიტერატურიდან და 35-მა - პრაქტიკული გამოცდილებიდან.

323 რესპონდენტიდან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ არ გააჩნიათ ცოდნა ფინანსებში, 165-მა (51%) გამოხატა მისი გაუმჯობესების სურვილი, ხოლო დანარჩენ 158 რესპონდენტს (49%) არ სურს ცოდნის გაუმჯობესება.

**დიაგრამა N9** - ცოდნა ბიზნეს გეგმის შექმნის, მარკეტინგისა და ფინანსების შესახებ



### სოციალური მეწარმეობა

28-მა პირმა (7%) განაცხადა, რომ გააჩნია ინფორმაცია სოციალური მეწარმეობის შესახებ; 13-მა რესპონდენტმა ინფორმაცია მიიღო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 9 რესპონდენტმა - ტრენინგზე, 2-მა - შესაბამისი ლიტერატურიდან და 10-მა - პრაქტიკული გამოცდილებიდან. დარჩენილი 352 რესპონდენტიდან (93%), რომელთაც განაცხადეს, რომ არ აქვთ ინფორმაცია სოციალურ მეწარმეობაზე, 198-მა (56%) გამოთქვა ცოდნის გაუმჯობესების სურვილი, ხოლო დანარჩენ 154 რესპონდენტს (44%) არ აქვს სურვილი, მიიღოს ინფორმაცია სოციალურ მეწარმეობაზე.

რაც შეეხება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ოთხივე სამიზნე მუნიციპალიტეტის გამგებელი, ისევე როგორც თემის რწმუნებულები/მამასახლისები, მზად არიან და სურთ მონაწილეობა მიიღონ პროექტით გათვალისწინებული უნარების განვითარების ინიციატივებში.

### პროფესიული განათლება

მოსახლეობის დიდი უმრავლესობა 75% (286 ადამიანი) არ დასწრებია პროფესიურ ტრენინგებს, ხოლო დანარჩენი 25% (94 ადამიანი) დაესწრო პროფესიურ ტრენინგებს სხვადასხვა თემატიკაზე. იმ რესპონდენტთა 17%, ვინც დასწრებია ტრენინგებს, ვერ აკონკრეტებს ტრენინგის თემატიკას. იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც შეძლეს ტრენინგის თემატიკის დაკონკრეტება, შემდეგი თემები დაასახელეს: სოფლის მეურნეობა (12%/11 ადამიანი), ბიზნესის წარმოება/მენეჯმენტი/მარკეტინგი (14%/13 ადამიანი), მასწავლებელთა ტრენინგი/გადამზადება (10%/9 ადამიანი); აგრეთვე, ბუღალტერია, ცხოვა, კომპიუტერული კურსები, მეფუტკრეობა, მეწარმეობა, ხელოსნობა, აივ ინფექცია/შიდსი და არჩევნები.

286 ადამიანიდან, ვინც არ დასწრებია პროფესიულ ტრენინგს, 143-მა რესპონდენტმა (50%) გამოხატა სურვილი, გაეუმჯობესებინა ცოდნა პროფესიული განათლების ნებისმიერ თემაზე, ხოლო დარჩენილმა 143-მა რესპონდენტმა (50%) არ მოისურვა ცოდნის გაღრმავება. მათ, ვინც ცოდნის გაღრმავების ინტერესი გამოხატა, უნდა დაეკონკრეტებინათ მათთვის საინტერესო თემატიკა. ზოგიერთმა ვერ შეძლო თემის დაკონკრეტება ან აღნიშნა, რომ ნებისმიერი ტრენინგი დააინტერესებდა. 62-მა რესპონდენტმა, ვინც ერთი ან ორი თემის დაკონკრეტება შეძლო, დაასახელეს: სოფლის მეურნეობა, (66%/41 ადამიანი), ბიზნესის წარმოება/მენეჯმენტი/ფინანსები/მეწარმეობა (24%/15 ადამიანი), სალონის საქმე/სტილისტი (16%/10 ადამიანი), ჯანდაცვა/მედიცინა/ფარმაცია (12%/8 ადამიანი), ინფორმატიკა/კომპიუტერის კურსები, მეფუტკრეობა, სკოლამდელი განათლება, პედაგოგიკა და სხვ.

### **გენდერული ბალანსი**

საპროექტო განაცხადის მიხედვით, შიდა ქართლის რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირებთან და თემებში დაბრუნებულ მოსახლეობებთან მუშაობისას მნიშვნელოვანია გენდერთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება. პროექტის სამიზნე მოსახლეობას სპეციფიკური გენდერული პროფილი გააჩნია, რაც იმაში გამოიხატება, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლებებში მოსახლეობის 50% მდედრობითი სქესისაა. თემში დაბრუნებულ მოსახლეობაში მდედრობითი სქესის წილი უფრო მაღალია. ომისა და იძულებით გადაადგილების გამო ბევრი ქალი იქცა ოჯახის მარჩენლად. აქედან გამომდინარე, შრომის ტრადიციული განაწილება (ქალები - როგორც დიასახლისები და კაცები - ოჯახის მარჩენლები) შეიცვალა. ახალი მოვალეობის - ოჯახის მარჩენლის ფუნქციის - შეთავსებასთან ერთად, ქალებს ოჯახის წევრთა კეთილდღეობაზე ზრუნვა უწევთ, მაგ: საკვების მომზადება, დასუფთავება, ტანსაცმლის რეცხვა, ბავშვების სასკოლოდ გამზადება. ქალები გაცილებით უფრო აქტიურები არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც და სხვა ქალებთან ერთად ესწრებიან შეხვედრებს, სადაც განიხილება და გვარდება საერთო პრობლემები, აკითხავენ სამთავრობო დაწესებულებებს სერვისების მოთხოვნისა და მიღების მიზნით და ა.შ.

საბაზისო კვლევის შედეგებმა დაადასტურა საპროექტო განაცხადში ასახული სხვადასხვა კვლევის მიგნებები: როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის რესპონდენტთა უმრავლესობამ (92%/349 ადამიანი) აღნიშნა, რომ მდედრობითი სქესის მოსახლეობა შეძლებს ტრენინგებზე დასწრებას; რესპონდენტთა მცირე ნაწილი (8%/31) თვლის, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ვერ მიიღებენ მონაწილეობას დროის უქონლობის, საოჯახო საქმეებისა და სხვა მიზეზების გამო.

ქალების აქტიური როლი საზოგადოებრივ და თემის ცხოვრებაში ასევე დაადასტურეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა. როგორც აღინიშნა, ქალები არ იზღუდებიან სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით. მეტიც, კაცებთან შედარებით, ქალები უფრო აქტიურები და ჩართულები არიან თემის ცხოვრებაში. როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ძირითადად ქალები არიან წარმოდგენილნი თემის შეკრებებზე და აქტიურად იღებენ მონაწილეობას თემის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში.


### **ინფორმაციის მიღების უპირატესი წყარო**

არბათიერ-სამარტერ ბუნდის მმართველი გუნდის მიერ სამიზნე მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მიზნით, რესპონდენტები გამოიკითხნენ ინფორმაციის მიღების უპირატესი



წყაროების შესახებ. ყველა შესაძლო წყაროს გამოვლენის მიზნით, რესპონდენტებს რამდენიმე წყაროს დასახელება შეეძლოთ.


**დიაგრამა N10 – სატელევიზიო არხები**  
პრიორიტეტულობის მიხედვით



✓ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ინფორმაციის მიღების ყველაზე პოპულარული/პრიორიტეტული წყარო ტელევიზიაა: რესპონდენტთა 98%-მა (373 ადამიანი) დაასახელა ტელევიზია ინფორმაციის მიღების ყველაზე პრიორიტეტულ წყაროდ (არხების პრიორიტეტულობა მე-10 დიაგრამაშია ასახული)

✓ ინფორმაციის მიღების მეორე ყველაზე პოპულარული წყარო ჟურნალ-გაზეთებია - რესპონდენტთა 16%-მა (61 ადამიანი) ინფორმაციის მიღების პრიორიტეტულ წყაროდ სხვადასხვა ჟურნალი დაასახელა. ყველაზე ხშირად დასახელებული ჟურნალები/გაზეთებია: „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ფრონეს ხეობა“, „კვირის პალიტრა“, „ქართლოსი“, „ხეობის მაცნე“, „ლიახვის ხეობა“, „რეზონანსი“, „თბილისელები“, „თრიალეთი“, „სარკე“.

**დიაგრამა N11 – ინფორმაციის მიღების პრიორიტეტული წყაროები**



✓ 13% (48 ადამიანი) ამჯობინებს ინფორმაციის მიღებას თემის ცენტრში გაკრული განცხადებების მეშვეობით;

✓ 10% (38 ადამიანი) ინფორმაციის მიღების პრიორიტეტულ წყაროდ ასახელებს ინტერნეტს;

- ✓ რესპონდენტთა 7%-მა (28 ადამიანი) ინფორმაციის მიღების პრიორიტეტულ წყაროდ დაასახელა საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა სათემო საკითხზე;
- ✓ საინფორმაციო მასალების მეშვეობით ინფორმაციის მიღებას ამჯობინებს 22 ადამიანი (6%);
- ✓ რესპონდენტთა უმცირესი ნაწილი (4.5%/17ადამიანი) რადიოს მიიჩნევს ინფორმაციის მიღების პრიორიტეტულ წყაროდ.

**სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობა**

პროექტის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობის მოტივაციასა და სურვილზე, ითანამშრომლონ პროექტთან მისი განხორციელების პროცესში. საბაზისო კვლევამ გამოავლინა სამიზნე მოსახლეობის თანამშრომლობის გამოცდილება სხვადასხვა უწყებასთან, მათ შორის, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რაც მიზნად ისახავდა ამ თვალსაზრისით თემების გამოცდილების შეფასებას.

კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა უმრავლესობას - 78%-ს (295 ადამიანი) - არ უთანამშრომლია არც ერთ ორგანიზაციასთან, ხოლო დარჩენილ 22%-ს (85 ადამიანს) სხვადასხვა სააგენტოებთან თანამშრომლობის გამოცდილება აქვს:

ადგილობრივი ხელისუფლება

47 რესპონდენტს (12%) უთანამშრომლია ადგილობრივ ხელისუფლებასთან სხვადასხვა სათემო ინიციატივის/პროექტის განხორციელების მიზნით, როგორცაა: წყალმომარაგება/საირიგაციო საკითხები, საბავშვო ბაღის მშენებლობა, გზის გაყვანა, არჩევნები, სახურავის შეკეთება და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ თემის წევრები სრულად არიან ჩართულნი სათემო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში (თემის განვითარების პროგრამებში მონაწილეობის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან პირისპირ შეხვედრების გზით და სხვ.), კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა მხოლოდ 1/3 (36%/136 ადამიანი) თვლის, რომ ჩართულია თემის პრობლემების მოგვარების პროცესში.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიხედვით, თემები მუდმივად უზიარებენ თავიანთ პრობლემებს და საჭიროებებს რწმუნებულებს/მამასახლისებს, რომელთაც „თემებში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები“ ეწოდებათ, რაც იმას გულისხმობს, რომ ისინი წარმოადგენენ მედიატორებს თემებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის და მუდმივად ურთიერთობენ მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეებთან სათემო პრობლემების გაზიარების მიზნით.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თემის წევრები თავისუფლად უკავშირდებიან მუნიციპალიტეტის გამგებელს სხვადასხვა სათემო პრობლემის მოგვარების მიზნით. თუმცა, მხოლოდ 67-მა რესპონდენტმა (18%) განაცხადა, რომ მიუმართავს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის სოფლის/ჩასახლების პრობლემების მოგვარების მიზნით.

*„ჩემი კარი ყოველთვის ღია უნდა იყოს მოსახლეობისთვის. ჩვენ გავაუქმეთ საშვების სისტემა, მოსახლეობამ ნებისმიერ დროს უნდა მოახერხოს ჩემთან შემოსვლა. შესაბამისად, არ გვაქვს სპეციალურად გამოყოფილი დღეები მოსახლეობის მიღებისა და მათი პრობლემების მოსმენისათვის. ჩემი მოვალეობაა, უზრუნველყო თემებისათვის საჭირო მომსახურება“*

*გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი*

*“მოსახლეობის მხრიდან შემოსული არც ერთი საკითხი რჩება პასუხგაუცემელი. თუმცა, რესურსების ნაკლებობის გამო, რა თქმა უნდა, ყველაფერი ვერ გვარდება“*

*ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი*

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები

იმ რესპონდენტთა 45%-მა (38 ადამიანი), ვინც განაცხადა, რომ გააჩნია სხვადასხვა სააგენტოსთან თანამშრომლობის გამოცდილება, აღნიშნა, რომ უთანამშრომლია სხვადასხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან, როგორცაა: კარიტასი (Caritas), დანიის ლტოლვილთა საბჭო (DRC), გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), წითელი ჯვარი (Red Cross), CHF, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID NEO/Chemonics), გაეროს ბავშვთა ფონდი (Unicef), World Vision, OSCE, Consult Group, Fedx და სხვ.

სახელმწიფო უწყებები

იმ რესპონდენტთა 19%-ს (16 ადამიანი), რომელსაც უთანამშრომლია რომელიმე სააგენტოსთან, განაცხადა, რომ აქვს სახელმწიფო უწყებებთან მუშაობის გამოცდილება.

ბიზნეს/ფინანსური ორგანიზაციები

იმ რესპონდენტთა 7%-ს (6 ადამიანი), რომელსაც უთანამშრომლია რომელიმე სააგენტოსთან, ბიზნეს/ფინანსურ ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება აქვს, როგორცაა შ.პ.ს. „ბლოკ ჯორჯია“.

**ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები**

იმ რესპონდენტთა 24%-ს, რომელსაც სხვადასხვა სააგენტოებთან თანამშრომლობის გამოცდილება აქვს, უმუშავია ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორცაა: „ბილიკი“, „თავისუფლება“, „კომპიუტერის გამავრცელებელთა ასოციაცია“, გორის საინფორმაციო ცენტრი, „ქალთა ორგანიზაცია“, „ელკანა“, საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვ.

იმ რესპონდენტთა 27%-მა (23 ადამიანი), რომელსაც უთანამშრომლია რომელიმე სააგენტოსთან, ვერ შეძლო პარტნიორის დაკონკრეტება, რადგან არ ახსოვდა შესაბამისი ორგანიზაციის სახელწოდება.

**ადგილობრივი ხელისუფლების მზაობა თანამშრომლობისთვის**

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ერთხმად გამოხატეს პროექტთან თანამშრომლობის მზადყოფნა და სურვილი როგორც თემის, ასევე მთლიანი რეგიონის განვითარების ინიციატივების განხორციელების მიზნით. გარდა ამისა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოხატა სურვილი, რომ მოსახლეობასთან ერთად ჩაერთოს დისკუსიებში მეწარმეობის იდეების გამოვლენის შესახებ განხორციელებადი და მდგრადი ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით.

ადგილობრივი ხელისუფლება ისეთ აქტივობებში მონაწილეობას, რომლებიც თემის საჭიროებებს ემსახურება, საკუთარ ფუნქციად და მოვალეობად მიიჩნევს; შესაბამისად, მზაობას გამოთქვამს, მონაწილეობა მიიღოს შეხვედრებში და სხვა ღონისძიებებში, რომლებიც პროექტის ფარგლებში გაიმართება. გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ თავიანთი ჩართულობა სოციალური საწარმოების შექმნის პროცესში, რადგანაც ისინი მონაწილეობენ ბიუჯეტირების პროცესში და იციან მუნიციპალიტეტის გეგმები მომავალი წლისთვის. აქედან გამომდინარე, მათი რეკომენდაციები მნიშვნელოვანია, რათა მოსახლეობამ პროექტის განხორციელებისთვის პრიორიტეტულად არ დასახოს ის საკითხები, რომლებიც უკვე ასახულია მუნიციპალური განვითარების გეგმაში და დაფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

*„ჩვენ მზად ვართ, შესაძლებლობის ფარგლებში ადამიანური და ფინანსური რესურსები გამოვუყოთ და ნებისმიერი სახის მხარდაჭერა აღმოვუჩინოთ იმ ორგანიზაციებს, რომელთა მიზანია მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება“*

*გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი*

**პროექტის მდგრადობა**

ოთხივე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა გამოხატეს მზაობა, მხარი დაუჭირონ ნებისმიერი საწარმოს შექმნასა და ფუნქციონირებას, რომელიც სარგებლს მოუტანს მოსახლეობას. ადგილობრივი ხელისუფლება მზადაა, მოსახლეობის სასიკეთოდ განხორციელებულ პროექტებში წვლილი შეიტანოს საჭირო რესურსებით, მათ შორის: შესაძლებლობის ფარგლებში ადამიანური და ფინანსური რესურსის გამოყოფით, ტრანსპორტირების ხელშეწყობით და სხვ. ადგილობრივი ხელისუფლება თვლის, რომ სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია სხვადასხვა



ალტერნატივის მოძიება თემის განვითარებაზე ორიენტირებული სოციალური პროექტების მხარდასაჭერად.

*“მხარს დავუჭერ ნებისმიერ ორგანიზაციას ისეთი ინიციატივის განხორციელებაში, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მოუტანს სარგებელს. ეს ჩემი პირდაპირი პასუხისმგებლობაა, რომლის არიდებასაც არ ვაპირებ. ჩემი პასუხისმგებლობის ფარგლებში, ყველაფერს გავაკეთებ მოსახლეობის კეთილდღეობისთვის“.*

*ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი*

## ლოგიკური ჩარჩო

მოცემული თავი ასახავს პროექტის ლოგიკურ ჩარჩოში განსაზღვრულ მიზნებსა და ინდიკატორებს და მათ საბაზისო სტატუსებს შესაბამისი ინფორმაციის წყაროს მითითებით.

როგორც უკვე საბაზისო კვლევის ანგარიშის შესავალში აღინიშნა, პროექტის მიზნებისა და ინდიკატორების უმრავლესობა არ არის საბაზისო კვლევის შეფასების საგანი. შესაბამისად, იმ ინდიკატორების სტატუსები, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის კონკრეტულ აქტივობებთან, აღნიშნულია როგორც „N/A“ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. პროექტის მმართველი გუნდის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მიზნით, თითოეულ ინდიკატორზე მოცემულია დამატებითი განმარტება (რამდენადაც შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელი იყო რაოდენობრივ ან თვისებრივ მონაცემთა შეგროვებით), რომელიც ასახავს მიმდინარე ვითარებას/სიტუაციას შესაბამისი ღონისძიების დასაბუთებული დაგეგმვისა და წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად.

*ზოგადი მიზანი: იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება სოციალურ საწარმოებში დასაქმებისა და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით*

### პროექტის პირველი წელი

#### *მიზანი #1: ცნობიერების ამაღლება - სოციალური მეწარმეობის შესახებ სამიზნე მოსახლეობაში*

---

**ინდიკატორი:** 1.1. მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის შესახებ საბაზისო კვლევის განხორციელება

**საბაზისო სტატუსი:** საბაზისო კვლევა განხორციელდა 2014 წლის ნოემბერ-დეკემბერში, შესაბამისი მიგნებები ასახულია საბაზისო კვლევის ანგარიშში

**წყარო:** საბაზისო კვლევა

---

**ინდიკატორი:** 1.2. 40 საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება იძულებით გადაადგილებულ პირებთან და თემებში დაბრუნებულ მოსახლეობასთან

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა: გაიზომება საბოლოო შეფასებისას*

**წყარო:** N/A

---

**ინდიკატორი:** 1.3. 2 რადიო-მოუსა და სატელევიზიო მორბენალი სტრიქონის ეთერში გაშვება

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა: გაიზომება საბოლოო შეფასებისას*

**წყარო:** N/A

---

**ინდიკატორი:** 1.4. 30 ადამიანისგან შემდგარი სამოქალაქო ფორუმის (სამიზნე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, მედია, იძულებით გადაადგილებული პირები და თემში დაბრუნებული მოქალაქეები) მიერ შეხვედრის გამართვა პროექტის განხორციელების მე-12 თვეში

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა: გაიზომება საბოლოო შეფასებისას*

**წყარო:** N/A

**ინდიკატორი:** 1.5 საინფორმაციო შეხვედრების მონაწილეთა 10% გამოთქვამს სოციალური საწარმოს დაფუძნების სურვილს


**საბაზისო სტატუსი:** გამოკითხული რესპონდენტების 86% გამოხატავს სურვილს, მონაწილეობა მიიღოს სოციალური საწარმოების ჩამოყალიბებაში სათანადო მხარდაჭერის არსებობის შემთხვევაში

**წყარო:** რაოდენობრივი კვლევის შედეგები (საბაზისო კვლევა)

**მიზანი #2: საარსებო წყაროები - სოციალური მეწარმეების გადაშენება და მხარდაჭერა პროექტის განხორციელებაში მანძილზე**

**ინდიკატორი:** 2.1 30 იძულებით გადაადგილებული და თემში დაბრუნებული პირი ესწრება 2 ტრენინგს სოციალური ბიზნესის დაგეგმარებაში და ავლენს ცოდნის 70%-ით გაზრდას ბიზნეს გეგმის შემუშავებაში, მარკეტინგულ სტრატეგიასა და ფინანსურ პროგნოზირებაში

**საბაზისო სტატუსი:**



\*შენიშვნა: გაიზომება საბოლოო შეფასებისას

**წყარო:** რაოდენობრივი კვლევის შედეგები (საბაზისო კვლევა)

**ინდიკატორი:** 2.2. სოციალური მეწარმეობის შესახებ საპროექტო განაცხადების მიღების გამოცხადება

**საბაზისო სტატუსი:** N/A

\*შენიშვნა: გაიზომება საბოლოო შეფასებისას

**წყარო:** N/A

**ინდიკატორი:** 2.3. 7 სოციალური საწარმოს შერჩევა და ჩამოყალიბება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე

**საბაზისო სტატუსი:** N/A

\*შენიშვნა: ინფორმაცია ყველა შემთხვევაში სოციალური საწარმოების შესახებ იხილეთ საბაზისო კვლევის ანგარიშის შესაბამის თავში

**წყარო:** რაოდენობრივი კვლევისა და თვისებრივ მონაცემთა ანალიზის შედეგები

(საბაზისო კვლევა)

**ინდიკატორი:** 2.4. 2 მრგვალი მაგიდის შეხვედრის მოწყობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან (შედევრი)

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა: ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების სურვილის თაობაზე, მონაწილეობა მიიღოს საინფორმაციო/მრგვალი მაგიდის შეხვედრებში იხილეთ საბაზისო კვლევის ანგარიშის შესაბამის თავში.*

**წყარო:** თვისებრივ მონაცემთა ანალიზის შედეგები (საბაზისო კვლევა)

## პროექტის მეორე წელი

**მიზანი #1: ცნობიერების ამაღლება - სოციალური მეწარმეობის შესახებ სამიზნე მოსახლეობაში**

**ინდიკატორი:** 1.1 40 იძულებით გადაადგილებული პირი მონაწილეობს სოციალური საწარმოების ბაზრობაში პროექტის განხორციელების 24-ე თვეში

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა:*

75-მა იძულებით გადაადგილებულმა პირმა (საბაზისო კვლევის დროს გამოკითხული 89 რესპონდენტის 84%) შესაბამის სოფლებში/ჩასახლებებში სოციალური საწარმოების ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა,

326-მა რესპონდენტმა/86% (როგორც იძულებით გადაადგილებულმა პირებმა, ასევე სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლებმა) შესაბამის სოფლებში/ჩასახლებებში სოციალური საწარმოების ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა

**წყარო:** რაოდენობრივი კვლევის შედეგები (საბაზისო კვლევა)

**ინდიკატორი:** 1.2. მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის განმსაზღვრელი საბოლოო კვლევის ჩატარება

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა: გაიზომება საბოლოო შეფასებისას*

**წყარო:** N/A

**ინდიკატორი:** 1.3. 2 რადიო-შოუსა და სატელევიზიო მორბენალი სტრიქონის ეთერში გაშვება

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა: მონაცემები ინფორმაციის მიღების სასურველ წყაროზე იხილეთ საბაზისო კვლევის ანგარიშის შესაბამის თავში*

**წყარო:** რაოდენობრივი კვლევის შედეგები (საბაზისო კვლევა)

**ინდიკატორი:** 1.4. პროექტის ბენეფიციარებს შორის სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულ პირთა რაოდენობის შემცირება

**საბაზისო კვლევა:** 135-მა პირმა (36%) შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ სოციალური დახმარება დაასახელა, მათგან რესპონდენტთა 45%-თვის (62 ადამიანი) სოციალური დახმარება შემოსავლის ერთადერთი მთავარი წყაროა, ე.ი. მთელი რესპონდენტების 16% დამოკიდებულია სოციალურ დახმარებაზე, როგორც შემოსავლის ერთადერთ ძირითად წყაროზე.

**წყარო:** რაოდენობრივი კვლევის შედეგები (საბაზისო კვლევა)

**მიზანი #2: საარსებო წყაროები - სოციალური მეწარმეების გადამზადება და მხარდაჭერა პროექტის განხორციელები მანძილზე**

**ინდიკატორი:** 2.1 შვიდი სოციალური საწარმოსათვის ინდივიდუალური კონსულტაციის გაწევა

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა: გაიზომება საბოლოო შეფასებისას*

**წყარო:** N/A

**ინდიკატორი:** 2.2. 4 პროფესიული ტრენინგის ჩატარება 28 დასაქმებული პირისთვის პროექტის განხორციელების მეორე წლის პირველი ოთხ თვის განმავლობაში

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა: 25% (94 ადამიანი) დაესწრო პროფესიულ ტრენინგს სხვადასხვა თემატიკაზე. 286 ადამიანიდან, რომლებიც არ დასწრებიან ტრენინგს, 143-მა პირმა (50%) გამოთქვა ნებისმიერ პროფესიულ თემატიკაზე ცოდნის გაღრმავების სურვილი*

**წყარო:** რაოდენობრივი კვლევის შედეგები (საბაზისო კვლევა)

**ინდიკატორი:** 2.3. სამდღიანი მონიტორინგი დაარსებული სოციალური საწარმოებისათვის

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა: გაიზომება საბოლოო შეფასებისას*

**წყარო:** N/A

**ინდიკატორი:** 2.4. 2 დღის დათმობა თითოეული სოციალური საწარმოსათვის ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევის მიზნით

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა: გაიზომება საბოლოო შეფასებისას*

**წყარო:** N/A

**მიზანი # 3:** ადვოკატირება - სოციალურ საწარმოებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის პოტენციური/შესაძლო მექანიზმების შემუშავება

**ინდიკატორი:** 3.1. 2 მრგვალი მაგიდის შეხვედრის მოწყობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა: გაიზომება საბოლოო შეფასებისას*

**წყარო:** N/A

**ინდიკატორი:** 3.2. ერთი ტრენინგის ჩატარება სამიზნე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა: გაიზომება საბოლოო შეფასებისას*

**წყარო:** N/A

**მიზანი #4:** ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობის დაცვა სოციალური სერვისების საშუალებით

**ინდიკატორი:** 4.1. სამიზნე არეალში მინიმუმ 3 ახალი სოციალური სერვისის შექმნა

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა: გაიზომება საბოლოო შეფასებისას*

**წყარო:** N/A

**ინდიკატორი:** 4.2. მინიმუმ 21 იძულებით გადაადგილებული და თემში დაბრუნებული





პირის დასაქმება სოციალურ საწარმოებში

**საბაზისო სტატუსი:** N/A

*\*შენიშვნა: გაიზომება საბოლოო შეფასებისას*

**წყარო:** N/A

---

## VII. დასკვნები

- ✓ ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით საჭირო/რელევანტურ/რეკომენდებულ საწარმოებზე საუბრისას, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები (როგორც თემის რწმუნებულები/მამასახლისები, ასევე მუნიციპალიტეტის გამგებლები) ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად სოციალურ-ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საჭიროებებს ასახელებდნენ, როგორცაა: **უმუშევრობა, შიდა გზები, სასმელი და საირიგაციო წყლის სისტემები და სხვ.** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული სოციალური საჭიროებები გვარდება ან იგეგმება მათი მოგვარება მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული თემის განვითარების პროგრამების ან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტების მეშვეობით, ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები განუზომელია და სრულად ვერ ხერხდება მათი მოგვარება. როგორც მოსახლეობა, ასევე ადგილობრივი ხელისუფლება თვლის, რომ თუ ინფრასტრუქტურული (მაგ. გზა) და საირიგაციო პრობლემები არ გადაიჭრება, საწარმოების წარმატებული მუშაობა და მდგრადობა ნაკლებად სავარაუდოა.
- ✓ საპროექტო განაცხადის მიხედვით, დასაქმებაზე ორიენტირებული საწარმოების ჩამოყალიბებით, რომლებიც არ იქნება სოციალური სერვისების მიწოდებაზე ორიენტირებული, არბათერ-სამარიტერ-ბუნდი მიზნად ისახავს მხოლოდ დასაქმების შესაძლებლობების გაზრდასთან დაკავშირებლი საჭიროების მოგვარებას<sup>9</sup>. თუმცა, თვისებრივი მონაცემების (ადგილობრივი ხელისუფლებების უკუკავშირი) ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, ბიზნესზე/დასაქმებაზე ორიენტირებული საწარმოების შექმნას გვერდითი ეფექტიც (ე.წ. პოზიტიური ექსტერნალია) ახლავს; ანუ, ადგილობრივი მოსახლეობისთვის დასაქმების შესაძლებლობების გაზრდასთან ერთად, ბიზნესზე ორიენტირებული საწარმოები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების მოაგვარებაშიც დაეხმარება მათ (ხილის გადამამუშავებელი საწარმოს, მაცივრის ან მსგავსი სასოფლო-სამეურნეო საქმეზე ორიენტირებული სოციალური საწარმოს დაარსების შემთხვევაში) და ხელს შეუწყობს ადგილობრივი მწარმოებლების შემოსავლის ზრდას მოსავლის ღირებულების თავიდან აცილების გზით, რასაც ამჟამად გასაღების ბაზარზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, ან მოსავლის ბითუმად დაბალ ფასად გაყიდვა იწვევს.
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სოციალური მომსახურებები, როგორცაა ამბულატორია<sup>10</sup> და საბავშვო ბაღი, არსებობს ზოგიერთ სამიზნე სოფელსა და ჩასახლებაში, მოსახლეობას უმეტესწილად მათზე ხელი არ მიუწვდება, ან სრულად არ აკმაყოფილებთ მიღებული მომსახურება. კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტების ნახევარზე მეტს მიაჩნია, რომ ამბულატორიული სერვისი ნაწილობრივ ხელმისაწვდომია ან საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი, ხოლო რესპონდენტთა დაახლოებით 3/4 ნაწილობრივ კმაყოფილია ან სრულებით არ არის კმაყოფილი მიღებული სამედიცინო მომსახურებით. რაც შეეხება საბავშვო ბაღებს, იმ რესპონდენტთა ნახევარზე ნაკლებმა, ვინც აღნიშნა, რომ მათ ჩასახლებაში/სოფელში ბაღი არსებობს, დადებითად შეაფასა აღნიშნული მომსახურება.

<sup>9</sup> მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიუროსათვის (PRM) დასაფინანსებლად წარდგენილი საპროექტო განაცხადი – მრავალწლიანი პროექტებისთვის, გვ. 8

<sup>10</sup> ჯანდაცვა არ შედის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში, ამიტომ თუ აღნიშნული სერვისის მიწოდებაზე ორიენტირებული საწარმოს შექმნა გადაწყდება, პროექტს შესაბამის სახელმწიფო მოხელეებთან მოუწევს თანამშრომლობა

- ✓ მიუხედავად იმისა, რომ არც ერთმა რესპონდენტმა დაასახელა შინმშენიანების სერვისის მნიშვნელოვანი სოციალური მომსახურებად შესაბამის კითხვაზე პასუხის გაცემისას (კითხვა 16 სამიზნე თემებში ყველაზე მოთხოვნადი სოციალური საწარმოების შესახებ), შინმშენიანების სერვისის შესახებ დამატებითი კითხვის დასმისას (კითხვა 18) რესპონდენტთა 73%-მა (278 ადამიანი) განაცხადა, რომ ამ მომსახურების არსებობა მნიშვნელოვანია მათ თემში. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სერვისის არ არსებობს არც ერთ სამიზნე სოფელში/ჩასახლებაში.
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობამ (64%) განაცხადა, რომ **მათი შემოსავლის ძირითადი წყარო** თვითდასაქმებაა (შეკითხვა 4.1), ისინი ძირითადად უმუშევრად თვლიდნენ თავს (შეკითხვა 3.5) და „თვითდასაქმებას“ მიმდინარე საქმიანობად ასახელებდნენ მხოლოდ ინტევიუერების მიერ შეუსაბამო პასუხების გადამოწმების მიზნით შემდგომი ჩაკითხვებისას.
- ✓ რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არ გააჩნია ცოდნა **მარკეტინგში, ფინანსებში და ბიზნეს გეგმის შემუშავებაში**; მათგან დაახლოებით 1/2 -მა არ გამოხატა შესაბამისი სფეროებში ცოდნის გაუმჯობესების სურვილი; რესპონდენტთა 75% არ დასწრებია პროფესიულ ტრენინგს; მათგან ნახევარმა გამოთქვა ნებისმიერ თემაზე ცოდნის გაღრმავების სურვილი, თუმცა ზოგჯერ უჭირდათ მათთვის საინტერესო თემატიკის დაკონკრეტება.
- ✓ 28 პირმა (7%) განაცხადა, რომ გააჩნია ინფორმაცია სოციალურ საწარმოებზე. დარჩენილი 352 რესპონდენტიდან, რომელთაც აღნიშნეს, რომ არ აქვთ ინფორმაცია **სოციალური საწარმოების** შესახებ, 198-მა (56%) გამოხატა შესაბამისი თემატიკაზე ცოდნის გაღრმავების სურვილი.
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, რომ **თემის წევრები სრულად არიან ჩართული** სათემო საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (თემის განვითარების პროგრამებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრებში მონაწილეობის მეშვეობითა და სხვა ფორმით), კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა მხოლოდ 1/3 (36%/136 ადამიანი) თვლის, რომ ჩართულია სათემო პრობლემების გადაჭრის პროცესში.
- ✓ ოთხივე სამიზნე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა (გამგებელმა), ისევე როგორც რწმუნებულებმა და მამასახლისებმა, მზაობა და სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიიღონ პროექტის ფარგლებში დაგეგმილ უნარ-შესაძლებლობების განვითარების სხვადასხვა ინიციატივაში. ადგილობრივი ხელისუფლების ყველა გამოკითხულმა წარმომადგენელმა ერთხმად გამოხატა სურვილი, მონაწილეობა მიიღოს თემის განვითარების ინიციატივების განხორციელების მიზნით დაგეგმილ სხვადასხვა სახის შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებასა და საინფორმაციო შეხვედრაში. აღნიშნული მზაობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის, რადგან საპროექტო განაცხადის მიხედვით, **მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობა** პროექტის მდგრადობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.
- ✓ **ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ერთხმად გამოხატეს პროექტთან თანამშრომლობის მზაობა და სურვილი** იმ ინიციატივების განსახორციელებლად, რაც წვლილს შეიტანს როგორც თემის, ასევე მთელი რეგიონის განვითარებაში. ადგილობრივი ხელისუფლება მზადაა, შესაძლებლობის ფარგლებში წვლილი შეიტანოს ადგილობრივი მოსახლეობის საკეთილდღეოდ განხორციელებულ პროექტებში ყველა საჭირო რესურსით, ადამიანური რესურსის, ტრანსპორტირების ხელშეწყობის, ფინანსური დახმარებისა და სხვა სახით. გარდა ამისა, ადგილობრივმა

ხელისუფლებამ გამოხატა სურვილი, რომ მოსახლეობასთან ერთად ჩაერთოს მეწარმეობის იდეების შესახებ დისკუსიაში განხორციელებადი და მდგრადი ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ჩართულობა ასევე მნიშვნელოვანია პროექტისა და მუნიციპალური საქმიანობის დუბლირების და გადაფარვის თავიდან ასაცილებლად. გარდა ამისა, მათი ჩართულობით მოსახლეობის მობილიზაცია უფრო მარტივი იქნება. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ასევე შეუძლიათ დახმარება გაუწიონ პროექტს კომპეტენტური და სანდო ხალხის იდენტიფიცირებაში სხვადასხვა ინიციატივაში მონაწილეობის მისაღებად. ადგილობრივი ხელისუფლება თვლის, რომ სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია სხვადასხვა ალტერნატივის მოძიება თემის განვითარებაზე ორიენტირებული სოციალური პროექტების მხარდასაჭერად /დასაფინანსებლად, რაც **მდგრადობის** მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

- ✓ კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (მაგ. გორში) არსებობს სოციალური პროექტების **თანადაფინანსების** შესაძლებლობა; მუნიციპალური ბიუჯეტი გამოყოფილია თემის განვითარების პროექტებისთვის (რომლებიც ძირითადად ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე ფოკუსირდება); შესაბამისად, თუ ეს ინიციატივები დონორის პრიორიტეტებს დაემთხვევა, თანადაფინანსება შესაძლოა ერთობლივი პროექტის განხორციელების კარგი საშუალება იყოს. თუმცა, მოსახლეობა ვერ შეძლებს თანადაფინანსებაში მონაწილეობას, რადგან მცირედ რესურსსაც არ ფლობს მსგავს ინიციატივებში წვლილის შესატანად.
- ✓ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, რომ მოსახლეობას **სხვადასხვა პროექტში ჩართვის დაბალი მოტივაცია აქვს**, რაც განპირობებულია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ნდობის ნაკლებობით მათთან თანამშრომლობის გამოცდილებიდან გამომდინარე, როდესაც სხვადასხვა ორგანიზაცია მოსახლეობას გარკვეული პროექტების წამოწყებას ჰპირდებოდა, თუმცა პირობას არ ასრულებდა.
- ✓ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, რომ იძულებით გადაადგილებული პირები **ფინანსურ დახმარებას მოელოან** ყველა ორგანიზაციისგან, რომელიც თემში იწყებს მუშაობას. შესაბამისად, ისინი ნაკლებად არიან დაინტერესებული გრძელვადიანი განვითარების პროექტებითა და ადამიანური შესაძლებლობების განვითარების ინიციატივებით.
- ✓ სასაზღვრო ხაზის მიმდებარე სოფლები საკმაოდ მეჩხერადაა დასახლებული სოფლიდან ქალაქში მიგრაციის მაღალი დონის გამო. შესაბამისად, სოციალური საწარმოს შექმნის გადაწყვეტილების მიღებამდე, მნიშვნელოვანია, რომ სწორად შეფასდეს ნებისმიერი ტიპის მომსახურებაზე/საწარმოზე სათანადო მოთხოვნის არსებობა (*ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაიხსენეს შემთხვევები, როდესაც გარკვეული სერვისები (მაგ. საბავშვო ბაღი) შეიქმნა, მაგრამ ვერ განაგრძო ფუნქციონირება სამიზნე ჯგუფის სიმცირისა და შესაბამისად, სერვისზე დაბალი მოთხოვნის გამო*).

## VIII. რეკომენდაციები

- ✓ საპროექტო განაცხადი მოიაზრებს **მუნიციპალიტეტთან** მჭიდრო თანამშრომლობას სოციალური საწარმოების იდეების შერჩევის პროცესში. თანამშრომლობის მნიშვნელობა დაადასტურეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც (მუნიციპალიტეტის გამგებლებისა და თემის რწმუნებულები/მამასახლისების ჩართულობა, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს პროექტისა და მუნიციპალური აქტივობების/ინიციატივების დუბლიკაციისა და გადაფარვის თავიდან აცილებას, ხოლო მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს შესაბამისი მოტივაციის მქონე რელევანტური/სანდო/პასუხისმგებლობის მქონე ადამიანების იდენტიფიცირებას სოციალური საწარმოების შექმნაში მონაწილეობის მისაღებად. თუმცა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო ურთიერთობა გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, რადგან შესაძლოა მოსახლეობამ ისინი სოციალური საწარმოების შექმნის პროცესში საკუთარი ნათესავებისთვის/ნაცნობებისთვის პრიორიტეტის მინიჭებაში დაადანაშაულოს. შესაბამისად, მიუკერძოებელი შერჩევის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები გამჭვირვალე და თანამონაწილეობითი იყოს.
- ✓ ნებისმიერი ტიპის საწარმოს შექმნისას უმნიშვნელოვანესია **სამომხმარებლო ბაზართან კავშირის დამყარება**<sup>11</sup>. წინააღმდეგ შემთხვევაში, გრძელვადიან პერსპექტივაში საწარმოს წარმატებული ოპერირებისა და მდგრადობის ალბათობა საკმაოდ დაბალი იქნება.
- ✓ საბაზისო კვლევამ ინფორმაცია მოიპოვა ლოგიკური ჩარჩოს გრძელვადიანი ინდიკატორებისა და მიზნების ამჟამინდელ სტატუსებზე, ისევე როგორც ზოგიერთ წინასწარ განსაზღვრულ ფაქტორზე სამიზნე სოფლებსა და ჩასახლებებში ცხოვრების ხარისხის შესაფასებლად. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია ჩასახლებაში/სოფელში ადგილობრივად არსებული რესურსების **საფუძვლიანი შეფასება** სოციალური საწარმოების იდეების იდენტიფიცირებამდე. აღნიშნული შეფასება ხელს შეუწყობს ყველაზე რელევანტური საწარმოს ჩამოყალიბების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას ადგილობრივად არსებული ბუნებრივი რესურსების სპეციფიკის (მაგ. ნიადაგი, კლიმატი, წყალი და სხვ.), ისევე როგორც ადამიანური შესაძლებლობების/პოტენციალის გათვალისწინებით სიცოცხლისუნარიანი იდეების იდენტიფიცირების უზრუნველსაყოფად.
- ✓ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების აზრით, სოფლებში/ჩასახლებებში მცირე გრანტების გამოყოფისა და მცირე საწარმოების ჩამოყალიბების ნაცვლად, უმჯობესი იქნება **არსებული ფინანსური რესურსის აკუმულირება და მასშტაბური საწარმოს ჩამოყალიბება** ადმინისტრაციული ერთეულის დონეზე, რომელიც გააერთიანებს რამდენიმე სოფელს/ჩასახლებას და რამდენიმე მეზობელი თემის მოსახლეობას მოუტანს სარგებელს.
- ✓ **ინფორმაციის გაზიარება** თემებსა და დაინტერესებულ პირებს/პარტნიორებს შორის ერთ-ერთი უმთავარესი ფაქტორია. იმ შემთხვევაში, თუ ახალ პროექტებზე/ინიციატივებზე საინფორმაციო შეხვედრებს კონკრეტული აქტივობები დროულად არ

<sup>11</sup> ჩვეულებრივ, ეს არის მარკეტინგის ტრენინგების ნაწილი, რაც, ივარაუდება, რომ ორგანიზდება პროექტის მიზნებისა და ინდიკატორების მიხედვით; თუმცა ეს დაკვირვება ცალკე იქნა გამოყოფილი მისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭების გამო სხვადასხვა დაინტერესებული ადამიანის მხრიდან, რათა დავწმუნდეთ, რომ პროექტი სათანადო ყურადღებას აქცევს შესაბამის საკითხებს.

მოწყვება, მოსახლეობა სკეპტიკურად განეწყობა და ნდობას კარგავს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობა ინფორმირებული იყოს დაგეგმილი საქმიანობების განხორციელების ვადების შესახებ. აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება პროექტის წინსვლის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების, პირისპირ შეხვედრების, საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო (IEC) მასალების დარიგების, საინფორმაციო ბიულეტენების გავრცელების გზით და სხვ.

- ✓ იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის ჩარჩოში განსაზღვრული მიზნებისა და ინდიკატორების უმეტესობა პროექტის კონკრეტულ სამუშაოებზეა მიბმული, დაგეგმილი აქტივობების დროულად და ეფექტურად განხორციელება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პროექტის წარმატებას. მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების გამართული სისტემის არსებობა, რაც მმართველ გუნდს დაეხმარება, თვალი ადევნოს იმ საქმიანობების პროგრესს, რაც მათ უშუალო კონტროლს ექვემდებარება. გარდა ამისა, კარგი იქნებოდა იმ რისკების წინასწარი გათვლა, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის განხორციელებას. აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობდა იმ გარე ფაქტორების იდენტიფიცირებას, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს პროექტის განხორციელებაზე, და მათ თავიდან აცილებას ან ადრეულ ეტაპზე მოგვარებას.